სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 31 იანვარი 2005 №19 (2342) ფასი 50 თეთრი



ალანიამ ბურდული გაიფორმა

4



გატყდა!

მიხეილ აშვეთიას ორმაგი ნავსი: ხუთთვიანი ტრავმა და ერთწლიანი უგოლობა

4

ჯემალ ჩიმაკაძე ბრაზილიელებით კმაყოფილია

5

ქართველებმა ხუთიანზე იჭიდავეს

ბაჩო კორძაიას ფოტო

პეკინის ქუჩა სპორტის სასახლიდან იწყება

საქართველოში ძიუდოს სიყვარულზე არასოდეს კამათობდნენ. სპორტის ამ სახეობამ პოპულარობა ათეული წლების წინ მოიპოვა. გასული საუკუნის ბოლოს ენთუზიაზმი თითქოს მინელდა და ერთხანს თბილისის საერთაშორისო ტურნირის მასპინძლობის უფლებაც დავკარგეთ. თითქოს ხალხის ინტერესმაც იკლო, თუმცა ქართველ კიმონოსანთა დიდმა გამარჯვებებმა სპორტის სასახლეს დღესასწაული მალევე დაუბრუნა.

ამ უქმეებზე თბილისურმა პირველობამ ოცდამეთორმეტედ შეკრიბა მსოფლიოს ძიუდოს წვრილშვილი. მართალია, შარშანდელთან შედარებით ნაკლები (რაოდენობითაც და ხარისხითაც), მაგრამ ეს ტურნირის პრესტიჟის დაცემას როდი ნიშნავდა. ახალი ოლიმპიური ციკლი ეს-ესაა დაიწყო, ყველა ახალი გუნდის შენებას შეუდგა და საქართველოშიც ის სპორტსმენები მოგროვდნენ, თავ-თავიანთ ქვეყნებში პეკინის ოლიმპიადის გუნდის წევრებად რომ მოიაზრებიან.

შარშანდელი ტურნირი ვახსენეთ და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ მიუხედავად ვარსკვლავების სიმრავლისა, მაშინ სპორტის სასახლე სანახევროდ თუ შეივსო, ამ დღეებში კი არათუ დასაჯდომი, ფეხზე დასადგომი ადგილის პოვნაც ჭირდა. პირველ ქართულ მსოფლიოს თასზე ნასტუმრები ევროპული ძიუდოს პირველკაცები გაოცებას ვერ მალავდნენ, ტატამზე ქართველების გასვლისას კი უმალ ფოტო თუ ვიდეოკამერებს მოიმარჯვებდნენ ხოლმე.

განსაკუთრებული ჟრიამული ოლიმპიური ნაკრების წევრების გამოჩენას მოსდევდა. ათენური შვიდეულიდან შაბათ-კვირას კიმონო ხუთმა მოირგო. არ იყვნენ დავით მარგოშვილი (66 კგ) და დავით ქევხიშვილი (73კგ). ახალგაზრდული ნაკრების წევრ გიორგი ყიზილაშვილის (100კგ) და მძიმეწონოსან ზვიად ხანჯალიაშვილის დარაჯე, მათაც ტრავმების გამო ვერ იჭიდავეს. დანარჩენ წონებში კი გულშემატკივარმა სხვადასხვა ასაკის ეროვნული გუნდების წევრები და კანდიდატები უკლებლივ იხილა. ორდღიანი ზეიმი თვრამეტი ქართული მედლით დასრულდა, თუმცა ჯობს, წონების მიხედვით ვთქვათ.

60 კგ

შეჯიბრი ამ წონის ძიუდოისტებმა გახსნეს. პირველ წრეში კენჭისყრამ მხოლოდ დავით ასუმბანი დაასვენა, თუმცა ვინც იჭიდავა, არც მათ დასდგომიათ დიდი ჯაფა. ახლახან მოსკოვის სუპერთასის მომგები ვახტანგ ხოსიტაშვილი, ნესტორ ხერგიანი და დავით სვიმონიშვილი რუს, აზერბაიჯანელ და სომეხ მეტოქეებს იოლად გაუსწორდნენ. მეორე წრემაც სამი ქართული გამარჯვება ჩაიტია, მაგრამ რადგან იქ უკვე ასუმბანმაც, იჭიდავა, ერთი მარცხიც გამოერია. ხოსიტაშვილი ძლიერ აზერს ნიჰათ შიხალიზადეს ემსხვერპლა. მოგვიანებით ამ შავტუხა ჭაბუკმა ასუმბანიც ჩამოიცილა და მინიმუმ ვერცხლი გაინაღდა. ჩვენდა საბედნიეროდ, სწორედ ამ მინიმუმს დასჯერდა. ფინალი ხერგიანისა იყო. მანამდე ნესტორმა სვიმონიშვილს აჯობა.

66 კგ

მსოფლიოს თასის მეორე მფლობელიც ქართველი აღმოჩნდა. ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონმა ზაზა კედელაშვილმა ოქრო ისე მოიგო, გზად ერთი ქართველიც არ შეხვედრია. თავიდან თითქოს მძიმედ დაიწყო, ქულებით დაწინაურდებოდა და მერე ჩერდებოდა. ამიტომაც იყო, ფინალამდე არც ერთი ბრძოლა იპონით რომ არ დაუმთავრებია. იქ კი აზერბაიჯანელი გასიმოვის ბეჭებზე გაკვრას 38 წამი მოანდომა — გაჩემპიონებულმა მძიმე დასაწყისი წონის სწრაფი კლებით ახსნა. ფინალისწინა შესვენებისას კი ჭამა მოვასწარი და ჯანზეც მოვედიო — გვითხრა.

კვარცხლბეკიდან ტრიბუნაზე მიბრუნებულმა კედელაშვილმა ტანსაცმლიანი ჩანთა ველარსად იპოვა. საჩემპიონო ჰიმნის დროს ვიღაცას ქურდობა მოესწრო და ჩემპიონს კიმონოთი და ჩუსტებით

ეროვნული ბიბლიოთეკა


ნესტორ ხერგიანი


ზაზა კედელაშვილი


რომან მიშურა


გრიგოლ მამრიკიშვილი

ზურაბ ზვიადაური


ასხაბ კოსტოევი


ალექსი დავითაშვილი

კვარცხლბეკი

60 კგ
1 ნესტორ ხერგიანი (საქართველო)
2 ნიჰათ შიხალიზადე (აზერბაიჯანი)
3 დავით ასუმბანი (საქართველო)
3 დავით სვიმონიშვილი (საქართველო)

66 კგ
1 ზაზა კედელაშვილი (საქართველო)
2 რამილ გასიმოვი (აზერბაიჯანი)
3 ზეზვა ებელაშვილი (საქართველო)
3 აჰმედ ულ საიდი (საფრანგეთი)

73 კგ
1 რომან მიშურა (რუსეთი)
2 დავით კუპრაშვილი (საქართველო)
3 ტარიელ მინესაშვილი (საქართველო)
3 მუსეიბ ჯაფაროვი (აზერბაიჯანი)

81 კგ
1 გრიგოლ მამრიკიშვილი (საქართველო)
2 ეიგო ნოსე (იაპონია)
3 გიორგი ბაინდურაშვილი (საქართველო)
3 ენტონი როდრიგესი (საფრანგეთი)

90 კგ
1 ზურაბ ზვიადაური (საქართველო)
2 ირაკლი ცირეკიძე (საქართველო)
3 მინდია ბოდაველი (საქართველო)
3 დავიდ ბუზუკლიანი (საფრანგეთი)

100 კგ
1 ასხაბ კოსტოევი (რუსეთი)
2 გიორგი გუგავა (საქართველო)
3 დიმიტრი ტურაშვილი (საქართველო)
3 ლევან რაზმაძე (საქართველო)

+100 კგ
1 ალექსი დავითაშვილი (საქართველო)
2 ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო)
3 ივერი ჯიქურაული (საქართველო)
3 ჰიროაკი ტაკაჰაში (იაპონია)

მოუხდა შინ დაბრუნება.

დანარჩენი ქართველებიდან მედალს მხოლოდ ზეზვა ებელაშვილი შესწვდა. პირველივე წრეში წაგების შემდეგ რეპეშაჟში სამი მეტოქე ჩამოიცილა და კვარცხლბეკზე კედელაშვილს მხარი დაუმშვენა.

73კგ

ამ წონაში წინასწარი ვარაუდით ოქროს აღება ქართველებს ყველაზე მეტად უნდა გასჭირვებოდათ. ჩვენი ოთხეულიდან რომელიმეს გამორჩევა და ფავორიტად დასახელება ცოტა სარისკო საქმე იყო. საქართველოს ჩემპიონატში თავგამოჩენილ ბიჭებს დიდი საერთაშორისო გამოცდილება არა აქვთ და უფრო წინ ის უნდა წასულიყო, ვინც ფსიქოლოგიურ დატვირთვას სხვებთან შედარებით ადვილად გაუძლებდა.

ყველაზე რიხიანად დავით კუპრაშვილმა დაიწყო. ყაზახი რუსლან ახტაევის ორწუთნახევარში დაიპონების შემდეგ მოსკოვის სუპერთასის მომგებ დიმიტრი ოგიენკოს სულაც 42 წამი აკმარა და ნახევარფინალში გავიდა. აზერი არაზ მუხტაროვის ჩამოსაცილებლად ხუთი წუთი დასჭირდა და ოქროსთვის ყოჩაღ რუსს რომან მიშურას დაეჭიდა. სამწუხაროდ, მასთან ვეღარას გახდა და შაბათის პირველი და ბოლო უცხოელი ჩემპიონი რუსი შეიქნა.

სწორედ მიშურამ დატოვა ფინალს მიღმა საქართველოს ჩემპიონი ტარიელ მინესაშვილი, რომელმაც ჯავრი ყაზახ ახტაევზე იყარა.

81 კგ

შარშანდელის დარად, წლეულსაც ქუთაისელმა გრიგოლ მამრიკიშვილმა იჩემპიონა, თუმც ამჯერად ყველა ბრძოლა წმინდად მოიგო. ფინალამდე ისე მივიდა, ერთი შეხვედრისთვის განკუთვნილი ხუთი წუთი ერთად არ დაუხარჯავს. ოქროს ბრძოლას კი 3,46 წუთი მოანდომა.

ძიუდოს ქართველი სპეციალისტები ამ წონაში ყველაზე მეტად მამრიკიშვილ-შინჯიკაშვილის ფინალს ელოდნენ. კენჭისყრამ ნაკრების ეს ორი კანდიდატი ბადის სხვადასხვა მხარეს განთესა და ერთმანეთს ფინალამდე ააცილა, მაგრამ შინჯიკაშვილმა არათუ ფინალს, ნახევარფინალსაც ვერ უწია. ფრანგ ვინსენ მასიმინოსთან მოგებული შეხვედრა მოულოდნელად, სირენამდე ხუთიოდ წამით ადრე წააგო და რეპეშაჟში გადაერთო. ბრინჯაოსკენ მიმავალი გზა გიორგი ბაინდურაშვილმა გადაუკეტა. მანვე სძლია საქართველოს ვიცეჩემპიონ ხვიჩა ხუციშვილსაც და მესამე საპრიზოც ირგუნა.

90 კგ

თქმა არ უნდა, სპორტის სასახლე რომ გაივსო მნიშვნელოვანწილად ათენის ოლიმპიური ჩემპიონის ზურაბ ზვიადაურის დამსახურებაა. მსოფლიოს უძლიერესი კიმონოსნების დამჩოქებელი „ოქროს ბიჭი" თბილისის ტურნირსაც რომ მოიგებდა, ალბათ ეჭვი არავის ეპარებოდა. უფრო საინტერესო ის იყო, ვინ რამდენ ხანს გაუძლებდა ზვიადაურს. პირველი მსხვერპლი, უკრაინელი ანდრეი ბლოშენკო 36 წამში გაეკრა ტატამს. იაპონელმა ტოშიჰირო იმაიმ „რეკორდი" ლამის ერთი წუთით გააუმჯობესა, ხოლო ლაშა გენგაშვილის მომრევი აზერბაიჯანელი ფარიზ რამიზადე წუთსა და ორმოც წამში წაიქცა.

ბადის მეორე მხარეს ნახევარფინალს ორმა ქართველმა უწია, დავით ცირეკიძემ და მინდია ბოდაველმა. იქ კი შედარებით გამოუცდელმა ცირეკიძემ სირენამდე ერთი წამით ადრე იპონით იმარჯვა და ზვიადაურთან დაჭიდებაც გაინაღდა. ცირეკიძემ ფინალში თავისი ძალა ხალხს უფრო ნათლად დაანახვა, ოლიმპიურ ჩემპიონს თავადვე შეუტია და ბოლო წუთამდე უგებდა კიდეც, მაგრამ გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და ზვიადაურული იპონი საფინალო სირენამდე ორმოციოდე წამით ადრე ერთხელაც ვიხილეთ.

ფინალს მიღმა დარჩენილმა ბოდაველმა რეპეშაჟში იყოჩაღა. იაპონელს უკვე მეთერთმეტე წამზე ისეთი ილეთი გაუკეთა, სპორტის სასახლის ტრიბუნები ზემოდან დაანახა.

100 კგ

მეორე ოქრო ამ წონაში დაიკარგა და აქაც რუსმა იჩემპიონა. ოთხიდან სამი ქართველი ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონმა ასხაბ კოსტოევმა დაგვიმარცხა. თან სამივეს — ლევან რაზმაძეს, ლაშა ფეიქრიშვილსა და გია გუგავას სუფთად მოუგო.

სამაგიეროდ, დამამშვიდებელი წრე წმინდა ქართულად ჩაჭიდავდა. მესამე ადგილები დიმიტრი ტურაშვილმა და ლევან რაზმაძემ დაიკავეს.

+100 კგ

მძიმეწონოსნებში თერთმეტი კაცი მოგროვდა. მათ შორის საქართველოს ნაკრების ოთხი წევრი და ოთხივემ ნახევარფინალში გააღწია. იქ ალექსი დავითაშვილი ივერი ჯიქურაულს დაუპირისპირდა, ხოლო ლაშა გუჯეჯიანი ზვიად ჩინჩალაძეს. პირველებმა იმარჯვეს, თუმც ფინალი ვეღარ ვნახეთ. გუჯეჯიანს პირველ წრეში რუს ანდრეი სელივანოვთან ნატკენი მაჯა ისე გაუსივდა, არათუ თბილისური ფინალის, პარიზის ტურნირზე ჭიდაობაც აქედანვე გამოირიცხა.

ტრავმის გამო ბრინჯაო უბრძოლველად უბოძა იაპონელ ჰიროაკი ტაკაჰაშის ზვიად ჩინჩალაძემაც, ხოლო ჯიქურაულმა სელივანოვი დატოვა უმეღლოდ.

ოთარ მაღლაკელიძე

ბადრი ძეთილაძის ფოტოები



ფრანგულ-ქართული კომპანია
"ლეონსიო"
(ელექტრონული დაცვის სისტემები)
გთავაზობთ
დისტანციური მართვის უკაბელო სიგნალიზაციის მონტაჟს
ოფისებსა და ბინებში საგანგაშო (SOS) ღილაკით
მონტაჟი უფასოა
უპროცენტო განვადებით
მისამართი: ბოლბეს ქუჩ. №6, ქ. თბილისი
ტელ: (995 32) 26 80 80, (995 32) 27 30 99
ფაქსი: (995 32) 27 30 99

ისეთივე საიმედო, როგორც მოედანზე!

ალანიამ ბურდული გაიფორმა

ლადო ბურდულმა ვლადიკავკაზის „ალანიასთან“ გუშინ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ახალ გუნდს რუსეთის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ მეორე შეკრებაზე სოჭში გაჰყვა.

ქართველ ნახევარმცველს კონტრაქტზე ხელმოსაწერად ოსები ვლადიკავკაზში 28 იანვარს ელოდნენ, მაგრამ ლადო გზაში შეფერხდა, „ალანიას“ გამგზავრებამდე ერთი-ორი საათით ადრე შეუერთდა და სოჭში, როგორც ნაღდი ალანიელი, ისე გაფრინდა.

ოსები სოჭში ათი დღით დარჩებიან, შემდეგ ესპანეთში გადაბარგდებიან და მერე ისევ სოჭში დაბრუნდებიან.

ამასობაში კი, შესაძლოა, „ალანიამ“ ერთი-ორი ქართველიც დაიმატოს. როგორც ვლადიკავკაზელთა მწვრთნელი ბახვა თედეევი ამბობს, მას კიდევ სურს ქართველი ფეხბურთელების დამატება და რამდენიმეს აკვირდება კიდეც, ოღონდ მათ ვინაობას არ ასახელებს.

შეგახსენებთ, ამჟამად „ალანიაში“ სამი ქართველია — ვიტალი დარასელია, ლევან გვაზავა და ლადო ბურდული.

კობა ინასარიძე

ლაშა ჯაკობია ზავაროვის ჯილაა



ლაშა ჯაკობია

გოჩა ჯამარაულის ხარკოვულ „მეტალისტში“ გადასვლა ალბათ გამორიცხა. ჯერ ერთი, თავად ჯამარაული ამბობს, პირადად არავინ დამკავშირებიაო და მეორეც, „მეტალისტის“ თავკაც ალექსანდრ ზავაროვს მაინცდამაინც არ ხიბლავს ჩვენიანი ნახევარმცველის შეძენის პერსპექტივა.

„პირადად მე გოჩასთან არ მისაუბრია. ცოტა ხნის წინ ჩვენს სელექციონერებს დავავალე, რომ გასასინჯად ისეთი ფეხბურთელები მოეძებნათ, რომლებსაც ფეხბურთის თამაში კიდევ სურთ. ჯამარაულის ტექნიკაზე ბევრი კი მსმენია, მაგრამ იგი ხომ საკმაოდ ასაკოვანია“ — ამბობს კიევის „დინამოსა“ და ტურინის „იუვენტუსის“ ექსვარსკვლავი.

სამაგიეროდ, ზავაროვი ლაშა ჯაკობიას აქებს. „მეტალისტის“ დამრიგებელმა გუნდის ლიდერები ჩამოთვალა და ჯაკობიას თავდასხმის ხაზის ყოჩობა არგუნა, ეს ბიჭი უკონკურენციოაო.

ხარკოვული კლუბი ამჟამად ევპატორიაშია შეკრებაზე, გუშინ უკრაინის მეორელიგელ „სტალს“ ეთამაშა და 3:2 მოუგო. ლაშამ ორჯერ გაატანინა თანაგუნდელებს, თავადაც ჩინებული გოლი შეაგდო, თუმც მსაჯმა საეჭვოდ გაუუქმა.

ილია ნანობაჯვილი



გაფყდა!

მიხეილ აშვეთიას ორმაგი ნავსი: ხუთთვიანი ტრავმა და ერთწლიანი უგოლობა

მიხეილ აშვეთია დაბრუნდა! ხუთთვიანი შესვენების შემდეგ მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი თავდამსხმელი პირველად გავიდა მოედანზე და გოლიც გაიტანა

შეგახსენებთ, რომ აშვეთიამ წინა, უილბლო სეზონი უგოლოდ ჩაამთავრა, რაც მის კარიერაში აქამდე არასოდეს მომხდარა. ახლა კი მიხომ ნავსი გატეხა და თან ერთგვარად შურიც იძია დანიურ „კოპენჰაგენზე“ — ჩვენებური ხომ ორიოდ წლის წინ სწორედ ამ გუნდში ირიცხებოდა, თუმც მწვრთნელების ნდობა ვერ მოიპოვა და რუსეთში დაბრუნდა.

„ძალიან მიხარია, რომ ვითამაშე და თან გოლიც გავიტანე. დიდი ხანია, ამ დღეს ველოდი. „კოპენჰაგენში“ ძველი ნაცნობებიც ვნახე, სასტუმროშიც ერთად ვცხოვრობთ. თუმცა იმას მაინც ვერ ვიტყვი, რომ „კოპენჰაგენთან“ გაბრაზებულმა ვითამაშე. ჩემთვის სხვა რამ უფრო მნიშვნელოვანი იყო: ტრავმის შემდეგ პირველად გავედი მოედანზე“ — გვითხრა გუშინ მიხეილ აშვეთიამ.

ესპანურ შეკრებაზე მყოფმა „ლოკომოტივმა“ დანიელებს 3:0 მოუგო. ჯერ იგორ ლებედენკომ შეასრულა დუბლი, მატჩის მიწურულს კი შეცვლაზე შესულმა აშვეთიამ გაასამა.

„დატვირთვებს აღარ ვერიდები. „კოპენჰაგენთან“ მხოლოდ 25 წუთი ვითამაშე, თუმც ახლა 45 წუთის ჩატარებაც შემიძლია. ხვალ ერთ-ერთ ნორვეგულ კლუბს ვეთამაშებით და ეგებ, სიომინმა სათამაშო დროც გამიზარდოს“ — ამბობს აშვეთია და იმისიც ეიმედება, 9 თებერვლის ლიტვასთან ამხანაგურ მატჩამდე საგრძნობლად მოვუმატებო: „კლუბში უკვე დავბრუნდი და ახლა ნაკრების დროა. ძალიან მინდა, ფორმის აღდგენა ბოლომდე თუ არა, ნაწილობრივ მაინც მოვასწრო“.

ბოლოს კი იმასაც გეტყვით, რომ „კოპენჰაგენთან“ აშვეთიას გარდა მალხაზ ასათიანმა და მათე ღვინინაძემაც ითამაშეს თითო ტაიმი.

ძახა შალამბერიძე

ჩელსი არ იქნება

სიომინი ასათიანს ვერ შეელევა

„ლოკომოტივს“ მალხაზ ასათიანი (მარცხნივ) არ ეთმობა

ბოლო დროს გავრცელებული ხმები, მალხაზ ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ შესაძლოა ლონდონის „ჩელსიში“ გადავიდესო, როგორც ჩანს, ხმებადვე დარჩება. ყოველ შემთხვევაში, ის ხალხი, ვისაც ასათიანთან და „ჩელსისთან“ ხელი მიუწვდება და საერთოდაც ხმაურიანი ტრანსფერების ავან-ჩავანი მეტ-ნაკლებად გაეგება, მოკლედ და კონკრეტულად ამბობს, ასათიანს და „ჩელსის“ სადღეისოდ ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთო. მეტიც, როცა ეს ამბავი „ლოკომოტივის“ მწვრთნელ იური სიომინს გაუგია, ხელები გაუსავსავებია, ასათიანს ვერაფასად ვერ შეეველევი, უმისოდ გუნდი დამეშლებაო.

„ჩელსიში“ ამჟამად გადასვლის ყველა ვარიანტს გამორიცხავს თავად მალხაზ ასათიანიც, რომელიც ახლა ესპანეთშია და მოსკოველებთან ერთად რუსეთის ჩემპიონატისთვის ემზადება. ისე კი, ევროპაში სატრანსფერო სეზონი დღეიდან მაისამდე იხურება და „ჩელსის“ ასათიანის წაყვანა ძალიანაც რომ სურდეს, ტრანსფერის ოფიციალურად გაფორმებას ველარ მოასწრებს.

და კიდევ, ქართველი ფეხბურთელის დამატებაზე „ჩელსის“ მწვრთნელს ჟოზე მაურინიუს საქართველო — დანიის მატჩის შემდეგ მართლაც ჩამოუგდეს სიტყვა, მაგრამ პორტუგალიელმა შორს დაიჭირა.

მერე ითქვა, საქართველო — ლიტვის ამხანაგურ თამაშზე ალენ ჟირესმა ასათიანი საგანგებოდ „ჩელსის“ მზირთათვის გამოიძახაო, თუმც, ჩანს, მთლად ნაღდი არც ეს ამბავი უნდა იყოს.

ვნახოთ, გაგრძელება როგორი იქნება.

კობა ინასარიძე

გიო ახვლედიანის

სვეტი

ასათიანის ამბავი

ჰაერში სენსაციის მსუბუქი კვამლი ლივლივებს.

საქმეში ჩახედულნი ამბავს უარყოფენ, კარგად ინფორმირებულნი კი ამბობენ, მოიცათ და ნახავთო. მოკლედ, ისტორია მალხაზ ასათიანზე „ჩელსისგან“ თვალის დადგმას ეხება.

ვერსია ამგვარია: ექსპერიმენტული შემადგენლობით ლიტვასთან სათამაშოდ მომზადებულ საქართველოს ნაკრებში „ასკაც“ გამოძახებულია და სწორედ იმიტომ, რომ ამ თამაშს „ჩელსის“ მზირი უნდა დაესწროს, გამორიცხული არაა, ეს მზირი თავად ჟოზე მაურინიუ იყოსო.

აბა, რა ვთქვათ? „ჩელსისთან“ დაახლოებულმა ქართველმა ბიზნესმენმა მიხეილ სურგულაძემ ვერსია უარყო, თუმც ეს აქა-იქ, რუსულ საინფორმაციოებსა და საიტებზეც გაკრთა, რომან აბრამოვიჩის ხალხს მავანი ქართველისთვის დაუდგამს თვალიო.

ამგვარ თვალის დასადგმელად კი დღეს ერთადერთი ქართველი გვეგულება (გვარს არ დავასახელებთ და, ჩვენი კოლმეურნობის თავმჯდომარე რომ არის).

ვითარება ბუნდოვანია და ფეხბურთს საერთოდ ახასიათებს ასეთი ამბავი. აქ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს სატრანსფერო ფანჯარა იხურება და რაოდენ ხმაურიანიც უნდა იყოს ეს ამბავი, მისი ბოლო მაინც ზაფხულში უნდა ვეძებოთ. რატომღაც ასე მგონია.

სხვა მხრივ კი, კარგა ხანია ასეთი კარგი ისტორია, თუნდაც ბუნდოვანი და თუნდაც გამოგონილი, არ გამიგონია და სასიამოვნოც ეს არის. აბა, იმაზე კარგი რა უნდა იყოს, რომ მალხაზ ასათიანმა თავისი ნამდვილი ადგილი იპოვოს ფეხბურთში.

შეიძლება ასათიანის მომეტებული გულშემატკივარი ვარ და, როგორც ასეთ დროს ხდება, ბევრი რამ მეჩვენება კიდეც, მაგრამ არც ისეთი ბრიყვი ვარ, რომ ჯერ არარსებული ნამდვილ ამბად წარმოვიდგინო. უბრალოდ, ისტორია მომეწონა და მორჩა. თუნდაც ჯერჯერობით ჰაერში გამოკიდებული, მაგრამ მაინც ძალიან სასურველი.

ჩვენს ფეხბურთს რომ წელიწადში ორი-სამი ასეთი ისტორია უმართლდებოდეს, თავი ქუდში გვექნებოდა.

„ასკას“ კი ბევრად მეტი ეკუთვნის, ვიდრე „ლოკომოტივის“ მცველობა. რა ვიცი, მე ეგრე მგონია.

დინამო +1=1–3

კვიპროსი დამთავრდა, მარბელა იწყება



ბაჩარ ჯალიტაძის ფოტო

დაშავებული შოთა გრიგალაშვილის ნაცვლად შესულმა კობა შალამბერიძემ თავი გოლით გამოიჩინა

თბილისის „დინამო“ გუშინ ათდღიანი კვიპროსული შეკრება დაასრულა და შინ დაბრუნდა. გუნდი დღეს დაისვენებს, ხვალ და ზეგ დიღმის ბაზაზე ივარჯიშებს, 3 თებერვალს კი ესპანეთში გაემგზავრება, კურორტ მარბელაზე „დინამო“ საერთაშორისო ტურნირშიც ითამაშებს. თბილისელების მეტოქეები მოსკოვის „სპარტაკი“, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“ და დონეცკის „შახტარი“ იქნებიან. დინამოელები თბილისში 10 თებერვალს დაბრუნდებიან.

„დინამოს“ საესპანეთო შემადგენლობა ჯერჯერობით უცნობია, სასურველ ფეხბურთელებს მწვრთნელი გია გეგუჩაძე დღეს-ხვალ დასახელებს.

პირველი შეკრების ბოლო ამხანაგურ მატჩში კი „დინამომ“ ორი შემადგენლობა ტაიმ-ტაიმი ათამაშა და რუმინულ „არჯეშთან“ 2:3 დამარცხდა.

წაგებასთან ერთად თბილისელებს ერთი ფეხბურთელიც დაუშავდათ — ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ ახლახან გამოჯანმრთელებული შოთა გრიგალაშვილი ისევ სამკურნალო შეიქნა. გრიგალაშვილს ექიმები ზუსტ დიაგნოზს დღეს ეტყვიან, თუმც ვარაუდობენ, რომ მას კოჭთან მყესები აქვს გაწყვეტილი.

მამალაძე, შაშიაშვილი, გიგაური, ჭიჭვეიშვილი, ხმალაძე, კაშია, კანკავა, გრიგალაშვილი (შალამბერიძე 20), კაკალაძე, დვალიშვილი, მელქაძე — ასეთი იყო „დინამოს“ შემადგენლობა შესვენებამდე, ანგარიში კი 1:2.

მეორე ტაიმში გია გეგუჩაძემ ესენი ათამაშა: *ზოიძე, ჭელიძე, სილაგაძე, სალუქვაძე, კვირკველია, ნოზაძე, კანდელაკი, ნემსაძე, რომერო, ქუცურუა, დვალი.*

„დინამო“ თავიდან 0:2 აგებდა. რუმინელთაგან მე-20 წუთზე ტანასამ გაიტანა, ხუთ წუთში კი ანგარიში პრეპელიცამ გაორა, მან დინამოელი მცველები მოატყუა და ზურაბ მამალაძეს შორეულ კუთხეში დაურტყა.

თბილისელებმა ერთი გოლი 34-ე წუთზე გაქვითეს: მიხეილ კაკალაძემ „არჯეშის“ საჯარიმოში ჩააწოდა, ლევან მელქაძემ თავით კობა შალამბერიძეს დაუგდო, მან კი ეფექტური დარტყმით ბურთი ცხრიანს დაუმიზნა — 1:2.

მეორე ტაიმში რუმინელებმა სხვაობა ისევ ორამდე გაზარდეს, სავამ პენალტი უნაკლოდ შეასრულა. მატჩის ბოლოს კი ჯაბა დვალმა იყოჩაღა, კვირკველია-ქუცურუას გათამაშებული ბურთი დასარტყმელად მოიგდო და გაიტანა.

მოკლედ, „დინამო“ კვიპროსიდან დაბრუნდა და ახლა ესპანეთისთვის ალაგებს ჩემოდანს. კვიპროსზე ნათამაშევი ხუთი მატჩიდან თბილისელებმა ერთი მოიგეს, ერთიც ფრედ დაამთავრეს და სამი წააგეს. მარბელაში თბილისელებს უფრო ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ, თუმც კვიპროსული შეკრების შემდეგ „დინამოც“ მოღონიერებული უნდა იყოს.

კობა ინასარიძე

ჩიმაკაძე ბრაზილიელებით კმაყოფილია

თბილისის „ლოკომოტივი“ შეკრებაზე ტრაპიზონში, თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ ბაზაზეა და გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა — „ტრაბზონსფორის“ მეორე გუნდს 5:0 მოუგო.

„ლოკომოტივმა“ პირველი ტაიმი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *გვარამაძე, ეჭონია, მაჩვილაძე, გ. ონიანი, მაჩხაია, ქებაძე, რ. ონიანი, რამონი, ბობოხიძე, ჟეანი, სირბილაძე.* ამ თერთმეტეულმა ტრაბზონელებს ოთხი გოლი გაუტანა — ორჯერ ირაკლი სირბილაძემ იხეირა, თითოჯერ მიხეილ ბობოხიძემ და ბრაზილიელმა ჟეანმა. „ლოკომოტივმა“ 4-3-3 სქემით ითამაშა და თავდამსხმელთა ტრიოსაც სირბილაძე, ბობოხიძე და ჟეანი შეადგენდნენ.

მეორე ტაიმში „ლოკომოტივმა“ მეორე თერთმეტეული გაიყვანა მინდორზე: *სტურუა, ფოფხაძე, სეთურიძე, კირვალიძე, ბარბაქაძე, სანიკიძე, ავალიანი, დავითულიანი, ყოფიანი, ალავერდაშვილი, კახელაშვილი.* ამათგან გოლი ალავერდაშვილმა შეაგდო, ხოლო ზვიად სტურუამ 11-მეტრიანი მოიგერია.

„ბრაზილიელების, ჟეანისა და რამონის თამაშით კმაყოფილი დავრჩი, თენგიზ სიჭინავამ კი იმიტომ არ ითამაშა, რომ კუნთი აქვს დაჭიმული. ახლა გვსურს, უფრო ძლიერ მეტოქეებსაც გავეჯიბროთ და ვნახოთ, გამოვძებნით თუ არა ასეთ სპარინგებს“ — გვითხრა „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა ჯემალ ჩიმაკაძემ.

დავით თავართქილაძე

ბაჩარ ჯალიტაძის ფოტო

19 წლის **გოჩა ხოჯავა „თბილისის“** და ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია. ამ ცაცია პლეიმეიკერს ბურთის ფლობა და პასები ისეთი აქვს, რომ მეტოქეთა დაცვას რეტს ასხამს.

ხოჯავა ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელიცაა და 9 თებერვალს მის თამაშს ერთხელაც ვნახავთ ლიტველ თანატოლებთან ამხანაგურ შეხვედრაში. გუშინ კი ხოჯავას უფრო საქართველოს ჩემპიონატზე ვესაუბრეთ

დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები

— „თბილისი“ ახლა ჩემპიონატში მესამე ადგილზეა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, უფრო თასისთვის იბრძოლებს, ვიდრე ჩემპიონობისთვის...

— უბრალოდ, თასზე უფრო მეტი შანსი გვაქვს, რადგან ნახევარფინალში ვართ და თასის მოსაგებად სამი თამაშისთვის გვმართებს მობილიზება. ყველა თამაშზე მაქსიმალურად კონცენტრირებული კი შესაძლოა ვერ გახვიდე — ჩავარდნა ხომ ნებისმიერ გუნდს მოსდის.

— პირველი ეტაპის ბოლოს მწვრთნელი შეგეცვალათ — რით განსხვავდებიან ლუის ცაკარიასი და გიორგი დევდარიანი?

— დევდარიანი ფეხბურთელებს ძალიან მეგობრულად გვეპყრობოდა, სტადიონის გარეთ ძმაკაცები ვიყავით, ცაკარიასთან კი მხოლოდ ფეხბურთი გვაკავშირებს. ისე, ფეხბურთის თამაში დევდარიანის ხელში დავიწყე, ბავშვობაში ის იყო ჩემი მწვრთნელი, როცა „ირაოში“ ვთამაშობდი.

— „თბილისი“ თორნიკე აფციაურმა დატოვა, შესაძლოა, სანდრო იაშვილი „რეინჯერსში“ გადავიდეს, თბილისის „დინამო“ კი რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდა — სეზონის მეორე ეტაპისთვის „დინამო“ თქვენზე უკეთეს პირობებშია?

— აფციაური და იაშვილი ჩვენთვის დიდ ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ სხვა ძლიერი ფეხბურთელებიც გვყავს. დევდარიანის მწვრთნელობისას „თბილისის“ შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა, მაგრამ ეს გუნდს არ ემჩნეოდა.

— ესენგეს თასზე „თბილისი“ წარუმატებლად რომ გამოვიდა, ამას რას დააბრალებთ?

— მოუმზადებლობას. მოსკოვში წასვლამდე მხოლოდ ერთი კვირა ვივარჯიშეთ, ისიც ვაკის პარკში ვემზადებოდით ფიზიკურად და ამის მერე შედეგიანად ვერ ითამაშებ.

— მოსკოვში „კაუნასთან“ მატჩისას ინციდენტი მოხდა...

— „კაუნასის“ გულშემატკივარმა მოედნიდან გადავარდნილი ბურთი არ მოგვაწოდა, რამაც ნერვები მოგვიშალა და ავერია, თანაც თამაში ჩვენი იყო და ბურთი აქეთ მივიღეთ.

— ეროვნულ ნაკრებში „თბილისის“ ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი გოგიტა გოგუა უკვე მიწვიეს — შენი დრო ჯერ არ მოსულა?

— ვფიქრობ, ამისთვის ცოტა დრო კიდევ მჭირდება.

— ჩვენს ჩემპიონატში რომელი გუნდი თამაშობს ყველაზე ლამაზად?

— „თბილისი“, რადგან თითქმის ყველა ჩვენი ფეხბურთელი ტექნიკურია, მცველებიც კი — ოდიკაძე, მიქიაშვილი და ელიავა ადრე შემტევები იყვნენ.

— და ყველაზე ტექნიკური გუნდი უფრო თასისთვის იბრძოლებს ვიდრე ჩემპიონობისთვის?

— ჩემპიონი სწორედ ყველაზე უფრო ტექნიკური გუნდი უნდა გახდეს — დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები — ან ჩემპიონები გავხდებით, ან თასს ავიღებთ.

დავით თავართქილაძე

ბაჩარ ჯალიტაძის ფოტო

ფეხბურთი გულშემატკივრისთვისაა და ფეხბურთელებიც ბურთს ქომაგისთვის აგორებენ. „სარბიელის“ მეშვეობით კი ამიერიდან გულშემატკივარს საშუალება ექნება კითხვები დაუსვას სახელიან ქართველ ლეგიონერებს. გელზენკირხენის „შალკეს“ შუახაზელი ლევან კობიაშვილი პირველია, ვინც „სარბიელის“ საშუალებით გულშემატკივართა შეკითხვებს უპასუხებს. მოკლედ, გამოგზავნეთ თქვენი შეკითხვები ელექტრონულ ფოსტაზე ან დარეკეთ ტელეფონზე 5 თებერვლის ჩათვლით 10-დან 18-საათამდე (შაბათის გარდა), მიუთითეთ თქვენი გვარ-სახელი, ასაკი და ქალაქი. ინტერვიუ თქვენი კითხვებითა და ლევან კობიაშვილის პასუხებით გამოქვეყნდება არაუგვიანეს 10 თებერვლისა.

გერმანია

ბუნდესლიგა XIX ტური

კაიზერსლაუტერნი 2:0 შალკე

1:0 ამანატიდისი (56), 2:0 ბლანკი (74პ)

კაიზერსლაუტერნი: თ. ერნსტი, ლემბი, ჰერჩი, მეტომო, ბლანკი, რიდლი (ტებერი 68), ენგელარდტი, სფორცა, ზანდი (ზაიცი 60), ამანატიდისი (ვენცელი 88), ჰალილ ალტინტოპი

მწვრთნელი: კურტ იარა

შალკე: ფ. როსტი, ჰამიტ ალტინტოპი, ბორდონი (ვალდოხი 53), კრსტაიჩი, პანდერი, კ. პოულსენი (ჰანკე 66), **კობიაშვილი** (დ. როდრიგესი 87), ასამოა, ლინკოლნი, აილტონი, სანდი

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

გაფრთხილება: ბლანკი, სფორცა, ამანატიდისი, ტებერი, ლინკოლნი, კრსტაიჩი, **კობიაშვილი**, ასამოა

მსაჯი: ტრაუტმანი

37 850 მაყურებელი

ფრაიბურგი 1:0 ვოლფსბურგი

1:0 ბაირამოვიჩი (57)

ფრაიბურგი: გოლი, ს. რიტერი, ხიზანეიშვილი, მოჰამადი, იბერებერგერი, **ცქიტიშვილი**, ბაირამოვიჩი (ბერმელი 69), კრუპკე (ანტარი 46), კაირო (ტანკო 78), ს. კულიბალი, **იაშვილი**

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

ვოლფსბურგი: იენჩი, შარპეი, კიროგა, ჰოფლანდი, ვაიზერი, ტიამი, კარჰანი (ბილიშკოვი 32), მაკიადი (მენსეგეში 78), მ. პეტროვი, ბრდარიჩი, ტოპიჩი (ტ. მარიჩი 69)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: ანტარი, ჰოფლანდი, ჰოფლანდი

გაძევება: ჰოფლანდი (83)

მსაჯი: ალბრეხტი

20 000 მაყურებელი

ჰერტა 0:0 ბაიერნი

ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ნ. კოვაჩი, ტ. მარქსი, ფილბერტო (ფატი 89), ბაშთურქი, მარსელინიო, ჯ. რეინა (ნორდფორფი 72), რაფაელი (ბობიჩი 81)

მწვრთნელი: ფალკო გიოტეი

ბაიერნი: კანი, ფრინგსი, ლუსიო, რ. კოვაჩი, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი, ბალაკი, შვაინსტაიგერი (ზე რობერტო 81), შოლი (იერემისი 85), მაკაი, კ. პიზარო (პ. გერერო 46)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: ბაშთურქი, ნ. კოვაჩი, მარსელინიო, სალიჰამიჯიჩი, შოლი

მსაჯი: კინჰოფერი

74 500 მაყურებელი

ვერდერი 3:2 ჰანზა

1:0 კლასნიჩი (5), 2:0 კლოზე (31), 2:1 დ. რასმუსენი (45), 3:1 კლასნიჩი (62), 3:2 თ. რასმუსენი (65)

ვერდერი: რაინკე, უმითი (სტალტერი 78), ისმაელი, ფარენჰორსტი, შულცი, ფ. ბაუმანი, დ. იენსენი (გუსტავო ნერი 58), ბოროვსკი, მიკუ, კლოზე, კლასნიჩი

მწვრთნელი: თომას შაფი

ჰანზა: შობერი, ტიკუზუ, მიორლე, ჰილი, მაული, პერსონი, დ. რასმუსენი (დი სალვო 74), რიდლევიჩი, თ. რასმუსენი, პრიკა, ოლბოკი

მწვრთნელი: იორგ ბერგერი

გაფრთხილება: ისმაელი, ტიკუზუ

მსაჯი: ვაგნერი

28 000 მაყურებელი

შტუტგარტი 2:4 ნიურნბერგი

0:1 ს. მიულერი (6), 0:2 შროტი (11), 1:2 მეირა (52), 2:2 გლები (70), 2:3 მინტალი (83), 2:4 შროტი (85)

ფრაიბურგმა ოქტომბერი გადაფურცლა

ეგლეგს ფინკესი ეშინიათ



კაიზერსლაუტერნი — შალკე. სტუმრებმა, ებე სანდმა (№11) და ლინკოლნმა შტეფან ბლანკი შუაში ვერ მოიშწყვდიეს

შტუტგარტი: ბილდებრანდი, ჰინკელი (საბიჩი 46), დელპიერი, მ. ბაბელი, ჰ. გერბერი, მაისნერი, ტიფერტი, ა. გლები, მეირა, კურანი, კაკაუ

მწვრთნელი: მათიას ზამერი

ნიურნბერგი: კლევერი, ა. ვოლფი, კანტალუპი, ნიკლი (პაულუსი 35), ლ. მიულერი, ლარსენი, ვაგეფელდი, მინტალი, ს. მიულერი (ლაგერბლომი 61), შროტი, დაუნი (ვიტეკი 69)

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

გაფრთხილება: დელპიერი, ბაბელი, კაკაუ, ტიფერტი, ნიკლი, ს. მიულერი, კანტალუში

მსაჯი: გაგელმანი

46 765 მაყურებელი

ლევერკუზენი 4:0 ბოხუმი

1:0 კრეინოვეკი (28), 2:0 ვორონინი (31), 3:0 პონტე (70), 4:0 ფრაიერი (78)

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ბ. შნაიდერი, ჟუანი, ნოვოტნი, პლასენტე, რამელო, ფრაიერი (ბიროფკა 79), პონტე (დონოვანი 75), კრეინოვეკი, ბერბატოვი, ვორონინი (ფრანცა 82)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

ბოხუმი: ვანდერი, პროისი, კალა, კნავსი (ფ. ტაპალოვიჩი 29), მაიხელბეკი (ბემბენი 44), მალტრიცი, ცდებელი, მისიმოვიჩი, ბ. მადსენი, ლოკვენცი, ტროიანი

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

გაფრთხილება: მალტრიცი

მსაჯი: კემლინგი

22 500 მაყურებელი

დორტმუნდი 1:1 მიუნხენგლადბახი

1:0 კოლერი (29), 1:1 კლუგე (49)

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ევანილსონი, ვიორნსი, ბერგდოლმო, დედე, კრუშკა, კელი, კრინგე, შმოლარეკი, კოლერი, რიკენი (ო. ადო 67)

მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი

მიუნხენგლადბახი: კ. კელერი, ფუკალი, კ. მური, პლეტრი, დაემში (იანსენი 58), კლუგე, ტიისი, ბიომე, სონკი (ბრონიი 83), სვერკოში, ნოვილი

მწვრთნელი: დიკ ადვოკატი

გაფრთხილება: დაემში, ტიისი

მსაჯი: შტარკი

79 500 მაყურებელი

ჰამბურგი 2:1 მაინცი

1:0 ბარბარესი (32), 1:1 აუერი (40), 2:1 ლაუტი (80)

ჰამბურგი: პიკენჰაგენი, შლიკე (ბენჯამინი 63), ბ. რაინჰარდტი (ლაუტი 75), ვან ბუიტენი, კლინგბილი, მაჰდავიკია, ვიკი, ბაინლიხი, დ. მორეირა (ტაკაჰარა 46), ბარბარესი, ე. მპენზა

მწვრთნელი: თომას დოლი

მაინცი: ვახე, აბელი, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, როსე, ფ. გერბერი (კრამნი 71), ბალიტჩი (ნ. ვაილანდი 59), ბაბაცი, და სილვა (დ. ვაილანდი 78), აუერი, ტინერტი

მწვრთნელი: იურგენ კლოპი

გაფრთხილება: მპენზა, ლაუტი, როსე

მსაჯი: ვაკი

43 000 მაყურებელი

არმინია 0:1 ჰანოვერი

0:1 შტენდელი (30)

არმინია: ჰაინი, ოვომოიელა, ბორგესი (კიუცელი 80), გაბრიელი, ვიზიო (დამაიერი 46), კაუფი, ლანგკამპი, პინტუ (ლეონი 46), შკელა, ბაკლი, ფ. ვატა

მწვრთნელი: უვე რაპოლდერი

ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი, ჰალფარი, დაბროვსკი, ლალა, დე გუიმანი, კრუპნიკოვიჩი, სტაინერი (თ. კრისტიანსენი 90), შტენდელი (თ. შნაიდერი 90)

მწვრთნელი: ეკალდ ლინენი

გაფრთხილება: ლანგკამპი, მერტესაკერი

მსაჯი: ბრიხი

21 439 მაყურებელი

ფიოლკერ ფინკეს „ფრაიბურგმა" სეზონში მესამე მატჩი მოიგო.

საინტერესო კი ისაა, რომ სამიდან ორჯერ სწორედ „ვოლფსბურგს" ავჯობა და კიდევ — ფინკეს შეგირდებმა 23 ოქტომბრის შემდეგ პირველად იმარჯვეს. ისიც არ გამოგვრჩეს, რომ „ფრაიბურგმა" მიჯრით ორ შეხვედრაში გოლი არ გაუშვა და ამ ამბავში ოთარ ხიზანეიშვილმაც თავისი სიტყვა თქვა. ზლატან ბაირამოვიჩმა „ვოლფსბურგს" გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში გაუტანა — ლევან ცქიტიშვილმა რომ კუთხური ჩააწოდა, ბაირამოვიჩმა ბურთი თავით იენჩის კარში შეაგდო.

გელზენკირხენის „შალკემ" პირველ ადგილზე გადაბრძანების შანსი ვერ გამოიყენა. არადა, მთელი მატჩის განმავლობაში უფხოდ, მაგრამ მაინც უტევდა „კაიზერსლაუტერნის" კარს. კურტ იარას შეგირდებმა დაცვაში გამართულად ითამაშეს და ანგარიში თურქულ-ბერძნული კონტრშეტევით გაიხსნა: ჰალილ ალტინტოპის პასით იოანის ამანატიდისმა მასპინძლები მეორე ტაიმის დასაწყისში დააწინაურა, მოგვიანებით კი შტეფან ბლანკმა პენალტით მეორე გოლი შეაგდო. მატჩში ძალიან ბევრი გაწევ-გამოწევა იყო და მუშტმოღერებული ფეხბურთელების გაშველება მსაჯს ხშირად უწევდა.

„თამაშის ხარისხით უფრო უკმაყოფილო ვარ, ვიდრე შედეგით" — თქვა დამარცხებულმა რალფ რანგნიკმა — საგოლე მომენტები ფაქტობრივად ვერ შევქმენით".

„ბაიერნის" თავზე წამოსკუპება „შტუტგარტსაც" შეეძლო, მაგრამ მათიას ზამერის გუნდმა მოულოდნელად შინ „ნიურნბერგთან" წააგო. სტუმრები უკვე მეთერთმეტე წუთისთვის სვენ მიულერისა და მარკუს შროტის გოლებით იგებდნენ. მასპინძლები კი ძილ-ბურანიდან მეორე ტაიმის დასაწყისში გამოვიდნენ: ფერნანდუ მეირამ და იმრე საბიჩმა ორბურთიანი ჩამორჩენა გაქვითეს.

ამით გალაღებულმა „შტუტგარტმა" ზურგი მოიშიშვლა, რაც ბუნდესბომბარდირმა მარიო მინტალმა არ აპატია — 2:3, მესამედ კარგად თანაბრებლად მომართულ დამბვდურებს შროტმა მეოთხე გოლი ბოლოსკენ მიართვა და ზამერის ნერვიულობაც ამით დასრულდა.

ჯერ მხოლოდ ორი ტური მიილია მეორე წრის დაწყებიდან, „ლევერკუზენმა" კი შვიდი გოლი გაიტანა და ერთიც არ გაუშვია.

სტუმრად „ჰანოვერის" დაჩოქების შემდეგ „ჟარმაცევტებმა" მისავათებული „ბოხუმიც" არ დაინდეს. იაკეკ კრეინოვეკმა ძელიდან უკუგდებულ ბურთს საგოლედ დამატა და ანგარიში გახსნა. ამის მერე მადა მის თანგუნდელებსაც გაეხსნათ. უკრაინელმა ანდრეი ვორონინმა ბოხუმელ მეკარეს ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა, მერე კი მარსელ მალტრიცმა და რობსონ პონტემ კიდევ ორი მიაყოლეს.

ვაშა ხუციშვილი

II ბუნდესლიგა

XIX ტური

კიოლნი 8:1 ბურგჰაუზენი

1:0 ჰოდოლსკი (3), 2:0 ებერსი (12), 3:0 კ. კონსტანტინიდისი (28), 4:0 ჰოდოლსკი (36), 5:0 ვოიგტი (46), 6:0 შერცი (65), 6:1 რაიზინგერი (80), 7:1 ლელი (81), 8:1 შერცი (88)

მიუნხენი 1:0 აუე

1:0 კოლომაუნიკი (15)

ესენი 2:2 ტრიერი

0:1 პაჩინსკი (2), 1:1 კალუჟნი (13), 1:2 მ. მარიჩი (53), 2:2 ბილგინი (86)

ალემანია 0:2 ალენი

0:1 სოპიჩი (28პ), 0:2 ფელგენაუერი (69)

ფიურტი 3:1 უნტერჰაჩინგი

1:0 ჰილბერტი (8), 1:1 კოპადო (10), 2:1 კაილახი (26), 3:1 ფაინბერი (60)

კარლსრუე 3:0 აინტრახტი

1:0 საენკო (36), 2:0 მასმანიდისი (54პ), 3:0 შვარცი (88)

ობერჰაუზენი 4:3 ერფურტი

0:1 კლინგმანი (23), 1:1, 2:1 კეიტა (36, 38), 3:1 ფრომერი (44), 3:2 ტიგანი (55პ), 4:2 ზედი (65ს.კ.), 4:3 ზედი (90)

ზაარბრიუკენი 4:1 დუისბურგი

1:0 დემაი (47), 2:0 ბენჩიკი (60), 2:1 კურტი (61), 3:1 დემაი (62), 4:1 ბენჩიკი (67)

დინამო — კოტბუსი

დღეს გაიმართება

კიოლნი	19	12	4	3	40:21	40
ფიურტი	19	12	3	4	31:18	39
დუისბურგი	19	12	3	4	30:19	39
ალემანია	19	9	4	6	38:20	31
ზაარბრიუკენი	19	9	3	7	29:21	30
აინტრახტი	19	8	4	7	33:31	28
მიუნხენი	19	7	6	6	25:27	27
ალენი	19	6	7	6	19:20	25
აუე	19	7	3	9	26:22	24
ტრიერი	19	5	9	5	24:28	24
ბურგჰაუზენი	19	6	5	8	23:31	23
ობერჰაუზენი	19	6	4	9	24:35	22
კარლსრუე	19	5	6	8	23:30	21
უნტერჰახინგი	19	6	2	11	27:31	20
კოტბუსი	18	5	4	9	21:27	19
ერფურტი	19	4	7	8	16:27	19
ესენი	19	3	9	7	25:35	18
დინამო	18	5	3	10	24:35	18

თურქეთი

სუპერლიგა XVIII ტური

კონია — გალათასარაი 0:2; ანკარა — სებათი 2:1; დიარბაქირი — ისთანბული 1:0; საქარია — გენჩლერი 2:2; ბეშიქთაში — მალათია 1:0; ანკარაგიუჯიუ — სამსუნი 1:2; გაზიანთეფი — დენიზლი 3:1; ტრაბზონი — ქაისერი 3:1; ფენერბაჰჩე — რიზე 2:0

ფენერბაჰჩე	18	15	1	2	44:9	46
გალათასარაი	18	13	3	2	32:11	42
ტრაბზონი	18	12	4	2	36:13	40
ბეშიქთაში	18	9	5	4	41:25	32
დენიზლი	18	9	3	6	24:21	30
რიზე	18	8	5	5	22:13	29
გაზიანთეფი	18	8	3	7	28:25	27
მალათია	18	7	4	7	25:23	25
გენჩლერი	18	6	5	7	23:25	23
ანკარა	18	6	4	8	25:26	22
დიარბაქირი	18	6	4	8	19:28	22
სამსუნი	18	6	3	9	25:35	21
კონია	18	4	8	6	31:38	20
ანკარაგიუჯიუ	18	5	4	9	14:27	19
საქარია	18	5	2	11	22:37	17
ისთანბული	18	3	6	9	16:26	15
ქაისერი	18	3	2	13	21:41	11
სებათი	18	1	6	11	21:46	9

№		სულ							შინ							სტუმრად						
		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	ბაიერნი	19	11	5	3	36:20	16	38	10	7	2	1	22:8	14	23	9	4	3	2	14:12	2	15
2	შალკე	19	12	1	6	28:24	4	37	10	7	1	2	19:16	3	22	9	5	0	4	9:8	1	15
3	შტუტგარტი	19	10	4	5	37:25	12	34	9	7	0	2	24:10	14	21	10	3	4	3	13:15	-2	13
4	ლევერკუზენი	19	9	5	5	35:25	10	32	9	7	1	1	24:11	13	22	10	2	4	4	11:14	-3	10
5	ვერდერი	19	9	4	6	40:23	17	31	10	5	3	2	19:11	8	18	9	4	1	4	21:12	9	13
6	ჰანოვერი	19	9	4	6	25:19	6	31	10	5	2	3	14:8	6	17	9	4	2	3	11:11	0	14
7	ჰერტა	19	7	9	3	30:17	13	30	9	2	6	1	14:7	7	12	10	5	3	2	16:10	6	18
8	ვოლფსბურგი	19	10	0	9	33:29	4	30	10	7	0	3	25:11	14	21	9	3	0	6	8:18	-10	9
9	ჰამბურგი	19	9	1	9	32:29	3	28	9	5	0	4	16:14	2	15	10	4	1	5	16:15	1	13
10	ლაუტერნი	19	8	3	8	27:27	0	27	10	6	1	3	15:10	5	19	9	2	2	5	12:17	-5	8
11	ნიურნბერგი	19	6	6	7	33:31	2	24	9	2	4	3	13:11	2	10	10	4	2	4	20:20	0	14
12	არმინია	19	7	3	9	19:25	-6	24	9	3	3	3	7:8	-1	12	10	4	0	6	12:17	-5	12
13	დორტმუნდი	19	5	7	7	20:24	-4	22	9	2	4	3	10:11	-1	10	10	3	3	4	10:13	-3	12
14	მაინცი	19	6	4	9	27:32	-5	22	9	5	2	2	14:9	5	17	10	1	2	7	13:23	-10	5
15	გლადბახი	19	5	6	8	22:31	-9	21	10	5	2	3	16:13	3	17	9	0	4	5	6:18	-12	4
16	ბოხუმი	19	3	6	10	25:41	-16	15	10	2	4	4	16:18	-2	10	9	1	2	6	9:23	-14	5
17	ფრაიბურგი	19	3	6	10	15:38	-23	15	9	2	3	4	9:16	-7	9	10	1	3	6	6:22	-16	6
18	ჰანზა	19	2	6	11	15:39	-24	12	10	0	2	8	5:25	-20	2	9	2	4	3	10:14	-4	10

ბომბარდირები

მინტალი (ნიურნბერგი)	14
კლოზე (ვერდერი)	11
ბაკლი (არმინია)	10
ვორონინი (ლევერკუზენი)	10
ნოვილი (მიონხენგლადბახი)	9
მარსელინიო (ჰერტა)	9
ბერბატოვი (ლევერკუზენი)	9

XX ტური

5-6 თებერვალი

შტუტგარტი	:	ლაუტერნი
გლადბახი	:	ფრაიბურგი
ჰანოვერი	:	დორტმუნდი
ბოხუმი	:	არმინია
ბაიერნი	:	ლევერკუზენი
მაინცი	:	ჰერტა
ნიურნბერგი	:	ჰამბურგი
ჰანზა	:	შალკე
ვოლფსბურგი	:	ვერდერი

მასწავლებელს მოსწავლემ ასწავლა



REUTERS მილანიდან

მილანი — ბოლონია. ჩემპიონი „სან სიროზე" გუშინ მეორედ დამარცხდა, თომას ლოკატელის (მარჯვნივ) გოლი უპასუხოდ დარჩა

იტალია

სერია A. XXI ტური

მილანი 0:1 ბოლონია

0:1 ლოკატელი (27)

მილანი: დიდა, კაფუ, სტამი, მალდინი, სერგინიო, გატუზო (ამბროზინი 63), პირლო, დორასო, კაკა (რუი კოშტა 70), შევჩენკო (ტომასონი 41), კრესპო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ბოლონია: პალიუკა, ფუარესი, გამბერინი, ტორიზი, ნასტაზე, კ. ამორუზო (ჯუნტი 77), ლ. კოლუჩი, ზაგორაკისი, სუსი, ბელუჩი (ფერანტე 90), ლოკატელი (ლოვიზო 90)

მწვრთნელი: კარლო მაცონე

გაფრთხილება: კოლუჩი, გამბერინი, ფუარესი, სუსი, ბელუჩი, ლოკატელი, ამბროზინი

მსაჯი: დე სანტისი

56 756 მაყურებელი

ატალანტა 1:2 იუვენტუსი

0:1 ოლივერა (23), 0:2 დელ პიერო (80პ), 1:2 ტურამი (90ს.კ.)

ატალანტა: კალდერონი, მოტა, სალა, ნატალი, ბელინი, დ. ძენონი (სინიგალია 78), მილაჩიო, ბერნარდინი (მინგაცინი 46), მარკოლინი, ლაცარი, ბუდანი (მაკინეა 20)

მწვრთნელი: დელიო როსი

იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა (კაპო 87), კამორანეზი, ემერსონი, ტაკინარდი, ოლივერა (ბირინდელი 72), ტრეზეგე, იბრაჰიმოვიჩი (დელ პიერო 61)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: ძამბროტა, ძებინა, ბერნარდინი, ნატალი, ოლივერა

მსაჯი: კოლინა

17 000 მაყურებელი

პალერმო 0:2 ინტერი

0:1, 0:2 ვიერი (5, 58)

პალერმო: გუარდალბენი, ბიავა, ტერლიცი (პოსანციანი 70), ბარძალი, ძაკარდო, ბარონე (მუტარელი 46), კორინი, მორონე, გროსო, ბრიენძა (სანტანა 79), ტონი

მწვრთნელი: ფრანჩესკო გეიდოლინი

ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, მატერაცი, ფავალი, ხ. ვერონი, კამბიასო, კ. ძანეტი, დ. სტანკოვიჩი (კილი გონსალესი 70), ვიერი (ხ. კრუზი 76), ო. მარტინსი (ზე მარია 90)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: სტანკოვიჩი, ბიავა, კ. ძანეტი, ფავალი

მსაჯი: ტრეფოლონი

37 000 მაყურებელი

რომა 3:2 მესინა

0:1 ძამპანა (12), 0:2 პარიზი (32), 1:2 ტოტი (56), 2:2 კასანო (60), 3:2 მანსინი (82)

რომა: ლოტი, მ. ფერარი (პანუჩი 46), დელასი, მექსეში, კუფრე, აკილანი (მანსინი 46), დაკური, დე როსი, ტოტი, მონტელა, ა. კასანო

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

მესინა: სტორარი, ზორო კპოლო, არონიკა, რეზაეი, პარიზი, ძანკი (სულო 45), ჯამპა (კრისტანტე 64), კოპოლა, დონატი, ილიევი, ძამპანა (ნ. ამორუზო 72)

მწვრთნელი: ბორტოლო მუტი

გაფრთხილება: დელასი, ზორო კპოლო, პარიზი, არონიკა, დაკური, დე როსი, ტოტი, ილიევი, მანსინი

მსაჯი: პიერი

37 000 მაყურებელი

პარმა 1:0 უდინეზე

1:0 ჯილარდინო (34)

პარმა: ს. ფრეი, პ. კანავარო, ბონერა, ბოვო, კონტინი, გრელა, ბუდელი (პიზანუ 76), მარკიონი, ბრეშიანო, ვინიაროლი (ბოლანო 61), ჯილარდინო

მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი

უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, სენსინი, ფელიპე (კროლდრუპი 46), პაზიენცა (პიერი 58), დ. პიზარო, მუნტარი, იანკულოვსკი, დი მიკელე, იაკინტა, დი ნატალე

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: ფელიპე, ჯილარდინო, კონტინი, ბოლანო, ბრეშიანო, კანავარო

მსაჯი: დატილო

11 000 მაყურებელი

რეჯინა 2:1 ლაციო

0:1 სეზარი (10), 1:1, 2:1 ბონაცოლი (72, 90)

რეჯინა: პავარინი, კანარზა (ჯ. კოლუჩი 55), დე როზა, ი. ფრანჩესკინი, მესტო, პარედესი, მოცარტი, ტედესკო (ბორიელო 62), ბალესტრი, ნაკამურა, ბონაცოლი

მწვრთნელი: ვალტერ მაცარი

ლაციო: პერუცი, ოდო, სივილია, ფ. კოუტუ, სერიჩი (კ. მანფრედინი 61), ა. ფილიპინი, ე. ფილიპინი, ჯანიკედა, სეზარი, ბაცანი (ო. ლოპესი 45), როკი (პანდევი 62)

მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო

გაფრთხილება: პავარინი, სეზარი, ჯანიკედა, სეზარი, სერიჩი, დე როზა, კოლუჩი

გაძევება: სეზარი (36)

მსაჯი: საკანი

23 000 მაყურებელი

სამპდორია 1:1 სიენა

0:1 ვერგასოლა (66), 1:1 როსინი (81)

სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, მ. კასტელინი, ფალკონე, მ. პიზანო, დიანა (ს. ინძაგი 68), ვოლპი, პალომბო, ტონეტო, კუტუზოვი, როსინი

მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო

სიენა: ფორტინი, ჩირილო, ტუდორი, კოლონეზე, პასკუალე, პეკია (არჯილი 65), დავერსა (დი დონატო 78), ვერგასოლა, ტადეი, კიეზა (მაკარონე 90), ტ. ფლო

მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო

გაფრთხილება: კოლონეზე, ტადეი, ინძაგი

მსაჯი: პაპარესტა

25 000 მაყურებელი

კალიარი 1:0 ფიორენტინა

1:0 ესპოზიტო (11)

კალიარი: იეცო, დ. ლოპეზი, მალტალიატი, ბეგა, აგოსტინი, აბეიხონი, ბრამბილა (კოლტი 77), გობი, მ. ესპოზიტო, სუაცო (ბიანკი 83), ძოლა

მწვრთნელი: დანიელე არიგონი

ფიორენტინა: ლუპატელი, დელი კარი, ვიალი, დაინელი, მაჯო (იორგენსენი 64), ნაკატა, პიანჯერელი, კიელინი, ობოდო, რიგანო, ფანტინი

მწვრთნელი: დინო ძოფი

გაფრთხილება: დაინელი, ვიალი, აბეიხონი

მსაჯი: მორგანტი

21 000 მაყურებელი

ბრეშა 0:1 ლეჩე

0:1 კონანი (16)

ბრეშა: კასტელაცი, ჟ. მარტინესი, ადანი, მარეკო (ჯადიდი 46), დალამანო, გუანა, დი ბიაჯო, სტანკევიჩიუსი (ძამბრელა 84), მანინი (სკული 68), დელვეკიო, კარაჩოლო

მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი

ლეჩე: სიჩინიანო, კასეტი, დიამუტენე, სტოვინი, რულო, ჯაკომაცი (ერიომენკო 84), ლედესმა, დალა ბონა, კონანი (ანჯელო 68), ვუჩინიჩი (ბელანოვიჩი 89), პინარდი

მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი

გაფრთხილება: მარეკო, მანინი, სტანკევიჩიუსი, ჯაკომაცი, ჯადიდი, დი ბიაჯო

მსაჯი: როზეტი

9 000 მაყურებელი

კიევო 1:0 ლივორნო

1:0 ტირიბოკი (31)

კიევო: მარკეჯანი, მენსა, ფ. მორო, მანდეევი, დანა, ს. ლანა, სემიოლი (ლუსიანო 73), ბრიგი, სამბარკო (ფუზანი 79), ტირიბოკი, პელისიერი (დ. ფრანჩესკინი 90)

მწვრთნელი: მარიო ბერეტა

ლივორნო: ამელია, გალანტე, ფ. ვარგასი, ა. ლუკარელი, ბალერი, ვიდიგალი, პასონი, გრაუზო (პროტი 62), ჯალლომბარდო, კ. ლუკარელი, კოლომბო (დანილევიჩუსი 68)

მწვრთნელი: რობერტო დონადონი

გაფრთხილება: ჯალლომბარდო, პელისიერი, პასონი, ვარგასი

მსაჯი: ტომბოლინი

6 000 მაყურებელი

ბოლო ორმა ტურმა „იუვენტუსსა" და „მილანს" შორის თითქმის ამოვსებული ორმო ისე გაალრმავა, უფსკრულად აქცია. „იუვენტუსმა" ისევ მოიგო, „მილანი" კი ისევ დამარცხდა.

დათვლილია, რომ ჯანლუკა პალიუკას „მილანისგან" 19 გოლი აქვს გაშვებული. „მილანი" რას არ გაიღებდა, პალიუკასთვის თუნდაც ორი გოლი გუშინაც გაეტანა, მაგრამ უზარმაზარი მონდომების მიუხედავად, „ბოლონიას" მეკარე ვერ დაჯაბნა.

ერთადერთი გოლი 27-ე წუთზე გავიდა: თომას ლოკატელიმ ზაგორაკისთან გაითამაშა კომბინაცია და ცაცია მარჯვედ მოიქნია. შევნიშნოთ, რომ იქამდე ბოლონიელებს ერთხელაც არ შეუწუხებიათ მასპინძლები. საერთოდ კი, „ბოლონიამ" თამაში კონტრშეტევებზე აააგო, რაც მოსალოდნელიც იყო.

წაგება წაგებად და, „მილანს" სხვა უსიამოვნებაც შეემთხვა, პირველი ტაიმის მიწურულს ანდრეი შევჩენკოს ტერფში გამბერინის ფეხი ძლიერად მოხვდა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. რამდენად მძიმეა უკრაინელის ტრავმა, ჯერჯერობით დაზუსტებით ვერ მოგახსენებთ.

„იუვენტუსმა" კი ბერგამოში სამი გოლი გაიტანა — ორი მეტოქის, ერთიც საკუთარ კარში.

„დავით ბერიშვილი ძალიან ნიჭიერი და მცოდნე მსაჯია. მას ყველა საჭირო გამოცდა ჩაბარებული აქვს და ბავშვთა ლიგაშიც სისტემატურად უძღვება მატჩებს — გვითხრა კომისარმა თენგიზ ქიქოძემ — ჩვენ თავს ვიკავებდით, რომ მას უმაღლესი ლიგის მატჩებზე ემსაჯა, რადგან, მოგეხსენებათ, ის ერთ-ერთ გუნდში თამაშობს და სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, ეგებ გარკვეული დაინტერესება ჰქონდეს, თუმც „მაკაბიცა“ და „ბურჯიც“ აუტსაიდერები არიან და ბერიშვილის სტუ-ს არანაირ საფრთხეს არ უქმნიან. ჩვენ მაინც შევათანხმეთ ეს საკითხი ორივე გუნდთან და დავითის მსაჯობის წინააღმდეგი არავინ ყოფილა. ასე რომ...“

ბერიშვილმა „მაკაბი“ — „ბურჯის“ მატჩი კი განსაჯა, მაგრამ ჩვენ გაცილებით საინტერესო, მოწინავეთა თამაშზე შევჩერდეთ.

ტურის ცენტრალურმა მატჩმა გამართლა, სტუდენტური დერბი გვარიანად დაძაბული და, წარმოიდგინეთ, ლამაზი საცქერიც გამოდგა. ბურთაობა რომ თვალსაამო იყო, ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის დამსახურებაა, რომელსაც საქართველოში ყველაზე განსხვავებული თამაშის ყაიდა აქვს.

ახლახან დასრულებულ თასის პირველ ეტაპზე თსუ-მ ორი საწყისი გამარჯვების შემდეგ „ავიამშენთან“ მატჩის შედეგი „გვერდზე გადადო“ და მთელი დრო პრესინგის დამუშავებას შეალია. ეს ფაქტი მაშინ განსაკუთრებულად გამოვარჩიეთ და ეჭვიც გამოვთქვით, რომ თამაშის ასეთ სარისკო სტილს სტუდენტები მომავალში ალბათ იშვიათად გამოიყენებდნენ. თუმც არა, თსუ-მ გუშინ პრესინგს კვლავ მიმართა, უწინდელზე უფრო დახვეწილადაც გამოიყურებოდა და ცოტაც რომ გამართლებოდა, „სტუ-ჯეოსელს“ ამჯერად დაამარცხებდა.

თუმც უნდა აღინიშნოს, რომ თსუ მაშინ გადაეწყო პრესინგზე, როცა გაუჭირდა. საწყისი მეოთხედი მამუკა ტურაშვილის გუნდმა ჩვეულებრივად, დაცვა-კონტრშეტევაზე აწყობილი თამაშით დაიწყო. ამის მიზეზი სწორედაც რომ ჰქონდა, რაკი თავდასხმაში მაღალი ხალხი აკლდა და თუკი რამის იმედი უნდა ჰქონოდა, მხოლოდ სისწრაფის.

თამაშის ასეთმა სტილმა არ გამოიღო ნაყოფი და სტუ-მ თავიდანვე გვარიანი უპირატესობა მოიპოვა — 8:0, 20:7 და 25:16 პირველი შესვენებისთვის.

თსუ ძალიანაც ინდომებდა, ყოველი მისი მოთამაშე ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ შედარებით კლასმაღალ მეტოქესთან მაინც არაფერი გამოსდიოდა და მეორე მეოთხედში 17 ქულით ჩამორჩა. სწორედ ამ მომენტში ბრძანა ტურაშვილმა პრესინგი და დარჩენილ დროში თსუ-ს არც უღალატია თამაშის ამ სტრატეგიული მიდგომისთვის.

მეორე ტაიმი ახალი განახლებული იყო, როცა სტუ-მ 18-ქულიან უპირატესობას მიაღწია და ჟურნალისტთა ჯგუფმაც კალმების დაშალითება დაიწყო, იფიქრეს, გამარჯვებული გარკვეულია, რაღა უნდა მოხდეს საინტერესო, თუმც სწორედ ამ დროს გამოიღო ნაყოფი თსუ-ს პრესინგის ტაქტიკამ და ტურაშვილის გუნდმა სულ რაღაც წუთნახევარში მიჯრით 11 ქულა მოიპოვა. სტუ-ს 18-ქულიანი ლიდერობიდან მალე მხოლოდ ოთხიღა დარჩა და თამაშს ინტრიგა დაუბრუნდა.

ტექნიკოსთა თავკაცი ნუგზარ ჭეიშვილი კი ცდილობდა, მაგრამ თსუ-ს პრესინგი ბოლომდე ვერ გაარღვია. კი, აგებდნენ სტუ-ელები მიჯრით ბურთებს და ხანგამოშვებით მათი უპირატესობა ათ ქულასაც სცდებოდა, მაგრამ თსუ ჩასაფრებული იყო და სუსტ წერტილს რომ იპოვნიდა, მყისვე მინიმუმამდე ამცირებდა ანგარიშს.

ზოგადად ელაპარაკობთ და მოქმედი პირნიც გამოვარჩიოთ. პრესინგის მადუღაბებელს ირაკლი მაისურაძე წარმოადგენდა, რომელიც ყველაზე სწრაფად მოძრაობდა და უამრავი ბურთი ჩაჭრა. მას გვერდში ედგნენ გიორგი მარხვაშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი, მიშა ფანჩულიძე, დავით ხიზანიშვილი, ირაკლი ბაქრაძე და ნიკა ვეფხვაძე. ეს ბიჭები აჩრდილებივით იყვნენ მაშინ, როცა სტუ შეტევას იწყებდა თავისი მოედნიდან.

ისე არ გეგონოთ, რომ თსუ-ელთა ეს ტაქტიკა სულ ჭრიდა. გამონაკლის ეპიზოდებში ხეირობდნენ ტურაშვილის შეგირდები და ასე თათარიახნად მოგროვილი ქულებით ინარჩუნებდნენ შანსს, თორემ პრესინგის თამაშისას ხშირად კოვზი ნაცარში უვარდებოდათ და ტექნიკოსები — ძირითადად კი ირაკლი ჯაფარიძე — ფართან პირისპირ რჩებოდნენ.

სტუ-მ მორიგი გაქცევის შემდეგ ათქულიანი უპირატესობა მოიპოვა თამაშის დასრულებამდე 4 წუთით ადრე. თუმცა დროის ფაქტორი არაფერია, თუ გუნდს პრესინგის თამაში წაუვა. მაისურაძემ თანაგუნდელების დახმარებით მიჯრით არაერთი ბურთი ჩაჭრა, პასებიც არიგა, თავადაც ჩააგდო და სირენამდე ორიოდ წუთით ადრე თსუ მეტოქეს ქულით მიაახლოვა — 92:93.

ერთი ნაბიჯიც და თსუ თამაშს ქართველთათვის უცნობი ტაქტიკით მოიგებდა, მაგრამ საკვანძო ეპიზოდში ნიკა ვეფხვაძეს დაუფარეს და სახელმწიფო უნივერსიტეტელებმა ასე ლამაზად წამოწყებული საქმე ველარ დააგვირგვინეს.

დინამო	13	11	2	+335	24
ავიამშენი	13	11	2	+263	24
სტუ	13	11	2	+227	24
თსუ	13	7	6	+84	20
თუჯი	13	6	7	+30	19
მაკაბი	13	4	9	-185	17
ბურჯი	13	1	12	-272	14
სსუ	13	1	120	-362	14

NBA რეგულარული ჩემპიონატი

28 იანვარი

მილუოკი 100:106 დენვერი

მილუოკი: უილიამსი (13), რედი (26), მეისონი (18), სმიტი (12), გაძურჩი (19 ქულა, 14 მოხსნა); ჯეიმსი (8), ფაჩულია (12 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა), ვან ჰორნი, კუკოჩი

დენვერი: მილერი (12), ბაკერი (4), ენტონი (25), მარტინი (14), კემბი (15); ბოიკინსი (17), ნენე (13), რასელი (7)

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

ორლანდო 108:101 ვაშინგტონი

ორლანდო: თურქოღლუ (31), ჰილი (22)

ვაშინგტონი: არენასი (30), ჯემისონი (28)

შარლოტი 101:94 ტორონტო

შარლოტი: რაში (21)

ტორონტო: ალსტონი (20), როუზი (18)

ბოსტონი 119:128 ფინიქსი

ბოსტონი: პირსი (34), დევისი (19)

ფინიქსი: სტუდემაიერი (42), რიჩარდსონი (23), ჯონსონი (17), ჯეკსონი (17)

მინესოტა 93:91 იუტა

მინესოტა: გარნეტი (25)

იუტა: კირილენკო (14)

ჰიუსტონი 111:117 საკრამენტო

ძირითადი დრო 103:103

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (30 ქულა, 12 პასი, 7 მოხსნა), პადჯეტი (22)

საკრამენტო: ვებერი (30), ბიბი (28 ქულა, 14 პასი), მობლი (24)

გოლდენ სტეიტი 85:88 სიეტლი

გოლდენ სტეიტი: ჩინი (21)

სიეტლი: ალენი (26), ლუისი (24)

ნიუ ორლეანი 99:85 ფილადელფია

ძირითადი დრო 87:87

ნიუ ორლეანი: ბრაუნი (20)

ფილადელფია: უილიამსონი (20)

ნიუ იორკი 99:96 კლივლენდი

ნიუ იორკი: მარბერი (22), კროუფორდი (22), მუჰამედი (21 ქულა, 10 მოხსნა)

კლივლენდი: ილგაუსკასი (24), გუდენი (21 ქულა, 14 მოხსნა), პავლოვიჩი (17)

ატლანტა 96:106 მაიამი

ატლანტა: უოლკერი (36)

მაიამი: ონილი (26), ანდერსონი (21)

პორტლენდი 90:86 კლიპერსი

პორტლენდი: სტუდემაიერი (22)

კლიპერსი: ბრენდი (26)

ლეიკერსი 103:109 ნიუ ჯერსი

ლეიკერსი: ბატლერი (31), ეტკინსი (22), ოდომი (16 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი)

ნიუ ჯერსი: კარტერი (30)

29 იანვარი

ინდიანა 88:95 დენვერი

ინდიანა: ონილი (22 ქულა, 10 მოხსნა)

დენვერი: მარტინი (25)

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

ვაშინგტონი 97:103 ორლანდო

ვაშინგტონი: არენასი (37)

ორლანდო: ფრენსისი (32 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), ჰილი (27)

სან ანტონიო 93:83 ნიუ ორლეანი

სან ანტონიო: პარკერი (23)

ნიუ ორლეანი: დიკაუ (16)

იუტა 82:99 ნიუ ჯერსი

იუტა: ბელი (20)

ნიუ ჯერსი: კარტერი (30 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), კიდი (19 ქულა, 10 პასი)

მემფისი 84:83 ატლანტა

მემფისი: უილიამსი (23), მილერი (21)

ატლანტა: ჰარინგტონი (18)

ჩიკაგო 97:101 ბოსტონი

ჩიკაგო: გორდონი (31)

ბოსტონი: დევისი (24), პეიტონი (23)

დალასი 89:93 ფილადელფია

დალასი: ნოვიცკი (25)

ფილადელფია: სალმონსი (19)

დეტროიტი 91:61 ნიუ იორკი

დეტროიტი: ჰამილტონი (18)

ნიუ იორკი: კროუფორდი (14)

ამერელ
ალექსანდრე
ჯაიდარაშვილს
და თათა დოლიძეს
ვულოცავთ პირველი
ვაჟის, სანდროს
დაბადებას. სასახელო
ვაჟკაცი გაზრდილიყოს!
ამერელები

„ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ, რომის XVII ოლიმპიური თამაშების უმთავრესი სენსაცია ზანგი გოგონას რბენა იყო. ეს გოგო რვა წლამდე დამბლადაცემული იყო და მრავალშვილიან ოჯახში იზრდებოდა. ეს ყოველივე საჭიროა ვიცოდეთ, რათა გავიგოთ, თუ როგორი ტრიუმფი იყო მისი ბრწყინვალე გამარჯვებები თავის მეტოქეებზე, რომლებიც ვილმას აღემატებოდნენ საზოგადოებრივი, სოციალური თუ ქონებრივი მდგომარეობით, სწავლა-განათლების შესაძლებლობებით" — წერდა ვილმა რუდოლფზე ცნობილი დასავლეთგერმანელი მწერალი რუდოლფ ჰაგელშტანგე.

ვილმა რუდოლფს რომში სამი ოლიმპიური ოქროს მოსაპოვებლად ცხრაჯერ მოუხდა მეთხედ, ნახევარფინალურ და ფინალურ გარბენში გამოსვლა და ცხრაჯერვე პირველმა გადაკვეთა ფინიშის ზღვარი. თანაც ყველა გარბენში მისი უპირატესობა აშკარა იყო. ვილმამ თანაგუნდელებთან მარტა ჰადსონთან, ლუსინდა უილიამსთან, ბარბარა ჯოუნსთან ერთად მსოფლიოს რეკორდი დაამყარა 4X100 მეტრზე ესტაფეტაში (44,5). ვილმამ მსოფლიოს რეკორდით დაასრულა 200 მეტრზე ნახევარფინალური გარბენიც (22,9). მერე, ფინალში ეს შედეგი საკმაოდ გააუარესა (24,0), მაგრამ მეორე ადგილზე გასულ გერმანელ იუტა ჰაინეს მაინც 0,4 წამით აჯობა. ვილმა რუდოლფმა 100 მეტრი 11,0 წამში დაფარა, რაც ასევე მნიშვნელოვნად აღემატებოდა თავისივე მსოფლიოს რეკორდს (11,5), მაგრამ რომში ასეთი შედეგის ჩვენებაში ცოტათი მსუბუქი ზურგქარიც წაეშველა და ამიტომ ის შედეგი ოფიციალურ რეკორდად არ ჩაითვალა. თუმცა, თავისივე ოფიციალური მსოფლიოს რეკორდი მომდევნო წელს მაინც გააუმჯობესა (11,2).

ამგვარად, ვილმა რუდოლფი გახდა პირველი ამერიკელი ქალი, რომელმაც ერთ ოლიმპიურ თამაშებზე სამი ოქროს მედალი მოიპოვა, იმ წელიწადს კი იგი მსოფლიოს უპირველეს სპორტსმენადაც აღიარეს.

„როდესაც დავრბოდი, თავს ლაღად ვგრძნობდი. მეჩვენებოდა, რომ ქარივით დავქროდი და პეპელას ვგავდი" — წერდა ვილმა რუდოლფი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ვილმა: ვილმა რუდოლფის ისტორია."

...და ან ცაზე ვარსკვლავები

შავი მარგალიტი

რომის ოლიმპიურ თამაშებს ბევრი გმირი ჰყავდა. ამიტომაც გმირთა შორის გმირის გამორჩევა მეტად გაუჭირდათ ჟურნალისტებს. თუმცა, ერთი რამ აშკარა იყო — ქალთა შორის უკონკურენციო აღმოჩნდა ამერიკელი მძლეოსანი ვილმა რუდოლფი, რომლის პოპულარობამაც ყველა დაჩრდილა და ბოლოს რომის ოლიმპიური თამაშების საერთოდ საუკეთესო სპორტსმენადაც აღიარეს

ევროპელთა ნაწილი ვილმა რუდოლფს „შვლის ნუკრს" უწოდებდა, სხვებმა „შავ მარგალიტად" მონათლეს, ამერიკელები კი ამბობდნენ, ირემივით დარბისო. მისი რბენის მანერით აღფრთოვანებულნი იყვნენ მისივე მეტოქეები და ვილმას გამოსვლებს გრაციოზულს უწოდებდნენ. და ვილმა რუდოლფი მართლაც თითქოს დაფრინავდა და გატყორცნილი ისარივით კვეთდა ფინიშის ხაზს.

მთელ ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ვილმა გოლდინ რუდოლფს ბავშვობაში პოლიომელიტთან ერთად პნევმონია და ყივანახველა ტანჯავდა. თანაც ხელმოკლე და მრავალშვილიან ოჯახში იზრდებოდა. 22 და-ძმას შორის ვილმა მეოცე იყო. დედამისი ტენესიის შტატის გამორჩენილ და შეძლებულ ოჯახებში დიასახლისობდა, მამა კი რკინიგზელი იყო.

პატარა ვილმას ავადმყოფობა უფრო ამძიმებდა მისი ოჯახის გასაჭირს. ერთხელაც ვილმას მშობლებს ექიმებმა ურჩიეს, ბავშვს თუ ყოველდღიურად ავარჯიშებთ და დადამბლავებულ ფეხზე თერაპიულ მასაჟებს ჩაუტარებთ, შეიძლება პოლიომელიტისგან იხსნათო. და დაიწყო ყოველდღიური ვარჯიში. დედა და რამდენიმე და-ძმა ყოველდღიურად რიგრიგობით უტარებდნენ მასაჟს. მაშინ ვილმა ექვსიოდე წლისა იყო. სულ მალე მისი ყავარჯენი ორთოპედიულმა ფეხსაცმელმა შეცვალა და ვილმამ თავის და-ძმებთან ერთად კალათბურთის თამაშიც დაიწყო. ერთ მშვენიერ დღეს დედამისმა კალათბურთის დარბაზში რომ შეიხედა, თვალებს არ დაუჯერა — ვილმა ფეხშიშველა დარბოდა და დაძმას ტოლს არაფერში უდებდა. ამ დროს ვილმა თერთმეტისა გამხდარიყო და, როგორც თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში წერდა, ხვდებოდა, რომ კალათბურთის ან რბენის ვარსკვლავი დადგებოდა. მართლაც, რბენაში იგი უკვე თანატოლებსა და უფროსებსაც ჯაბნიდა, მაგრამ ტენესის შტატის უნივერსიტეტში მეორე კურსზე სწავლისას რბენაში დამარცხდა და ლამის შოკში ჩავარდა. როცა ყველაფერი გააანალიზა, მიხვდა, რომ ბუნებრივი მონაცემების გარდა, კიდევ რაღაც იყო საჭირო. იგი უნივერსიტეტის მწვრთნელმა ედვარდ ტემპელმაც გაამხნევა და ურჩია საზაფხულო არდადეგები სპეციალურ მძლეოსნურ ბანაკში მისივე მეთვალყურეობით გაეტარებინა. იმ ბანაკში ვილმა დღეში 30 კილომეტრზე მეტს დარბოდა. მას და მის თანაგუნდელებს ამხნევებდნენ და პირდებოდნენ, თქვენ ისე კარგად დარბიხართ, მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზეც მოხვდებითო. მართლაც, ვილმა და მისი თანაგუნდელები ავსტრალიაში აღმოჩნდნენ, იქიდან კი 4x100 მეტრზე რბენაში მოპოვებული ოლიმპიური ბრინჯაოს მედლებით დაბრუნდნენ. ეს მძიმე ავადმყოფობაგადატანილი 16 წლის ვილმასთვის ფანტასტიკური წარმატება იყო, მაგრამ იქიდან დაბრუნებული ოთხი წლის მერე უკვე რომის ოლიმპიურ ტრიუმფზე ფიქრობდა.

და როცა რომამდე ორი წელიწადი აშორებდა, თავისი დიდი ხნის ბოიფრენდ რობერტ ელდრიჯისგან დაფეხმძიმდა და გოგონაც შეეძინა. ვილმას მამა შვილს ელდრიჯზე გათხოვებას უკრძალავდა. მეტიც, მას ბავშვის ნახვასაც არ ანებებდა, ამასობაში კი დრო მიდიოდა და ვილმა ველარ ვარჯიშობდა. მერე ჩვილი ბავშვი ბებია-ბაბუამ დაიტოვა, ვილმას კი ვარჯიშის საშუალება მიეცა და სულ მალე ნათელი გახდა, რომ იგი რომში გაემგზავრებოდა და გაიმარჯვებდა კიდეც.

ვილმა რუდოლფი რომში ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. იმ დროს, როცა სხვები სიცხისგან გათანგულიყვნენ, ვილმა ლაღად და მხნედ იყო, რადგან იქაური პაპანაქება თავისი მშობლიური ტენესის შტატისგან არ განსხვავდებოდა. რომშიც ისე თავისუფლად ცხოვრობდა, თითქოს საბრძოლველად კი არა, დასასვენებლადააო ჩასული: ათვალიერებდა ქალაქს, სეირნობდა ოლიმპიურ სოფელში, საღამოობით ხშირად ხედავდნენ საცეკვაო მოედნებზე, სადაც უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ვილმას "მოარშიყეთა შორის იყვნენ რეი ნორტონი და კასიუს კლეი. მისი გულშემატკივარი იყო პირთამდე სავსე რომის ოლიმპიური სტადიონიც, რომელიც მის გამოჩენაზე ფეხზე დგებოდა და ხმაშეწყობილად გაჰყვიროდა: „ვილ-მა", „ვილ-მა!"

და, მიუხედავად იმისა, რომ ვილმა რომში დაშავებული მუხლით გამოდიოდა, მაინც სამივე დისციპლინაში პირველი იყო.

ასე მოვიდა რომაული ტრიუმფი! ტრიუმფის მერე იყო საჩვენებელი გამოსვლები ევროპასა და ამერიკაში. კლივლენდში ჩასულს მთელი ქალაქი შეეგება, თუმცა, ასე იყო მთელს ამერიკაში, სადაც ყველგან ეროვნული გმირის საკადრის დახვედრას უწყობდნენ. თეთრ სახლში თვით ამერიკის პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ და ვიცე-პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმაც მიიღო.

იმ წელიწადს ვილმა რუდოლფმა, როგორც ამერიკის საუკეთესო სპორტსმენმა, სალივანის სახელობის ჯილდო მიიღო, მსოფლიოს წლის საუკეთესო სპორტსმენადაც აღიარეს, მაგრამ იმ ხანად არც ამგვარი პატივი და არც ოლიმპიური ოქროს მედალი, თუნდაც სამგზის ჩემპიონობა, ფინანსურად არაფერს ნიშნავდა. იმ ოქროებით კაცი ცხოვრებას ვერაფრით აიწყობდა, რადგან მთავრობა პრემიებს არ იძლეოდა. ამიტომაც ერთი წლის მერე, როცა თავისი დიდების ზენიტში იყო და საკუთარ მსოფლიოს რეკორდებს აუმჯობესებდა, აქტიურ სპორტს გამოეთხოვა. საკუთარი შვილის მამაზე გათხოვდა, კიდევ ორი ბავშვი შეეძინა და თავისი ბავშვობის სკოლაში მწვრთნელობას მიჰყო ხელი. 1967 წელს ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ჰუბერტ ჰემფრის თხოვნით ვილმა რუდოლფმა სპორტის სხვა ვარსკვლავებთან ერთად გეტოებში დაბადებული ბავშვების ვარჯიში დაიწყო. ვილმა ამ საქმეში დიდი ენთუზიაზმით ჩაება, მით უმეტეს, რომ ეს იყო რასისტულად განწყობილ კლარსვილის ისტორიაში პირველი ამგვარი ინტეგრაციული მოვლენა, რომლის დასაწყისიც ვილმა რუდოლფმა რომაული გამარჯვებების აღსანიშნავად ამერიკაში ტრიუმფალური დახვედრებითა და მიღებებით იგრძნო. ვილმა სხვა მხრივაც თანაუგრძნობდა სამოქალაქო უფლებათა მებრძოლთ. პარალელურად მუშაობდა ტელეკომენტატორად და რადიოშოუებშიც მონაწილეობდა.

1993 წელს ამერიკის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ვილმა რუდოლფი ალისონთან და პალმერთან ერთად დიდად დააფასა, როცა ეროვნული სპორტის ვარსკვლავთა დაჯილდოების პირველ ცერემონიალზე ამერიკის უდიდეს პიროვნებათა შორის მიუჩინა ადგილი.

ვილმა რუდოლფი ერთი წლის მერე ტვინის კიბოთი გარდაიცვალა, როცა 54 წლისა იყო.

ავთანდილ გურასაშვილი

ვილმა რუდოლფი რომის ოლიმპიურ სარბიელზე

ამერიკაში ასე ტრიუმფალური დახვედრა მოუწყვეს ვილმა რუდოლფს

რომის ოლიმპიური ჩემპიონები: რალფ ბოსტონი, კასიუს კლეი (შემდგომში მუჰამედ ალი) და ვილმა რუდოლფი

მსოფლიოს XIX ჩემპიონატი. ვაჟები

ტუნისი. 23 იანვარი - 6 თებერვალი

A ჯგუფი

ანგოლა 27:26 კანადა
ტუნისი 27:27 საბერძნეთი
საფრანგეთი 32:26 დანია

ტუნისი	3	2	0	159:118	8
საბერძნეთი	3	1	1	132:117	7
საფრანგეთი	3	1	1	161:106	7
დანია	3	0	2	174:117	6
ანგოლა	1	0	4	108:178	2
კანადა	0	0	5	103:201	0

B ჯგუფი

ისლანდია 34:25 ალჟირი
ჩეხეთი 33:22 ქუვეითი
რუსეთი 31:27 სლოვენია

რუსეთი	5	0	0	151:103	10
ჩეხეთი	2	2	1	145:136	6
სლოვენია	3	0	2	154:137	6
ისლანდია	2	1	2	154:144	5
ალჟირი	1	1	3	138:153	3
ქუვეითი	0	0	5	101:170	0

C ჯგუფი

იაპონია 29:19 ავსტრალია
ესპანეთი 35:28 არგენტინა
ხორვატია 28:27 შვედეთი

ხორვატია	5	0	0	169:124	10
ესპანეთი	4	0	1	191:128	8
შვედეთი	3	0	2	164:118	6
იაპონია	2	0	3	121:151	4
არგენტინა	1	0	4	133:141	2
ავსტრალია	0	0	5	85:201	0

D ჯგუფი

სერბეთი 25:24 გერმანია
ნორვეგია 24:19 ეგვიპტე
ბრაზილია 30:25 ყატარი

სერბეთი	4	0	1	139:117	8
ნორვეგია	3	1	1	142:105	7
გერმანია	3	1	1	149:115	7
ეგვიპტე	3	0	2	123:123	6
ბრაზილია	1	0	4	104:146	2
ყატარი	0	0	5	117:168	0

ბრძოლა დღეიდან ნახეთ

REUTERS რადიოფონი

ბერძენმა სპირიდონ ბალომენოსმა ტუნისელებს ორჯერ გაუტანა

შაბათს დასრულდა წინასწარი ეტაპი და გაირკვა ის 12 გუნდი, რომლებიც დღეიდან გააგრძელებენ ბრძოლას ასევე ექვსგუნდა ორ ჯგუფში. ყოველი მატჩის შედეგი, ერთი დაკარგული ქულაც კი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს, რადგან მედლებს მხოლოდ ორ-ორი საუკეთესო ნაკრები გაითამაშებს. ერთი სიტყვით, ნამდვილი ჩემპიონატი დღეიდან იწყება.

პირველი ეტაპი უდანაკარგოდ მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონმა ხორვატიამ და ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა რუსეთმა გაიარეს. ჩემპიონებს სანაქებო შეტევის ხაზი ჰყავთ, შედეგიანობით მეორეები არიან ესპანელების მერე. საგრძნობლად გაახალგაზრდავებული სლავთა ნაკრები დაცვაში ყველაზე საიმედოა, ყოველ მატჩში საშუალოდ 20 გოლს უშვებს, თუმცა ნორვეგია და საფრანგეთი ბევრით არ ჩამორჩებიან.

დღეს ცენტრალური თამაშია ორ-ორგზის მსოფლიოს ჩემპიონებს საფრანგეთსა და რუსეთს შორის. ცნობისთვის, ფრანგთა ნაკრები ყველაზე ხნოვანია (საშუალო ასაკი 28,7 წელია) — ხუთმა ხელბურთელმა 30 წელს გადააბიჯა. ფრანგებს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ, რადგან წინასწარი რაუნდიდან მხოლოდ კინკილა ქულა გადმოჰყვათ და ახლა სამივე შეხვედრა უნდა მოიგონ, სამედლო შანსი რომ შეინარჩუნონ.

რუსების გარდა, ოთხ-ოთხი „ოქროს" ქულა აქვთ ხორვატებსა და სერბებს. სერბებმა დასკვნითი ტურის დრამატულ მატჩში ევროჩემპიონ გერმანელთა ძლევით გაიკაფეს გზა მეორე ეტაპზე. ტაიმი გერმანელებმა მოიგეს — 13:10, მაგრამ ექსიუგოსლაველებმა სამ წუთში გაუთანაბრეს — 14:14, მომდევნო ათ წუთში კი რადკო ნიკოლიჩის და ალენ მურატოვიჩის სამსამი შედეგიანი ტყორცნით ხუთი ბურთით გაიჭრნენ წინ — 21:16. საფინალო სასტვენამდე ოთხი წუთით ადრე გერმანელები ისევ ხუთი გოლით აგებდნენ, თუმც ბოლო წუთზე ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანეს და დარჩენილ დროში ქულის გადარჩენის შანსიც მიეცათ, მაგრამ ჯერ მეკარესთან პირისპირ გასულმა სებასტიან პრეისმა ბურთი ძელს გაარტყა, ხოლო ორი წამილა რჩებოდა, როცა სერბთა მეკარე არპად შჩერბიკმა ფრან ბერენს შვიდმეტრიანიდან ნასროლი აუღო. გერმანელებიც ფრანგების დღეში არიან — მხოლოდ ერთი ქულა აქვთ და თითქმის გამქრალი საჩემპიონო შანსი.

ფინალური ეტაპის მიღმა დარჩა როლანდ ერაძის ისლანდია. კუნძულელებმა ალჟირელ ხელბურთელებს დამაჯერებლად კი სძლიეს, მაგრამ პირველივე ტურში ჩეხებთან ფრემ მეორე რაუნდის საგზური დააკარგვინათ.

დღეს საფრანგეთ — რუსეთის გარდა ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ესპანეთი — გერმანია, სლოვენია — საბერძნეთი, ტუნისი — ჩეხეთი, შვედეთი — სერბეთი და ხორვატია — ნორვეგია.

გია ახალაძე

დასაჯეთ გამზრდელი!

ბერძენი მძლეოსნების — კოსტას კენტერისისა და კატერინა ტანუს მწვრთნელს ხრისტოს ცეკოსს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. შეგახსენებთ, რომ კენტერისი და ტანუ ათენის ოლიმპიადის დღეებში, შეჯიბრებისწინა დოპინგ-ტესტზე არ გამოცხადნენ — ოლიმპიურ სოფელში ვერ იპოვნეს, — ხოლო მოგვიანებით აღმოჩნდნენ საავადმყოფოში, სადაც თითქოსდა მოტოავარიის გამო ამოყვეს თავი. თავად მწვრთნელი, რომელსაც ამ თაღლითობის (თუ ეს მართლა თაღლითობა იყო) მოფიქრებაში ედება ბრალი, ბუნებრივია, აცხადებს, რომ მის მოსწავლეებს დოპინგ-ტესტი განზრახ არ გაუცდენიათ.

„ნებისმიერ მოვლენას შეიძლება სხვადასხვა მხრიდან შეხედო — თქვა ცეკოსმა ათენში, დამოუკიდებელი ტრიბუნალის წინაშე — ჩვენ ჩვენს სიმართლეს გთავაზობთ: საკუთრივ დოპინგ-კონტროლის სამსახურის თანამშრომლებმა დაარღვიეს პროცედურა და პასუხი მათ უნდა მოეთხოვოთ."

დიმიტრის ვალასიადისი (დოპინგ-კონტროლის წარმომადგენელი): „იმ დღეს ყველაფერი ზედმიწევნით კანონის შესაბამისად მოხდა. მე კოსტას კენტერისსა და კატერინა ტანუს ორი საათის განმავლობაში ვეძებდი, მაგრამ ვერ ვიპოვნე."

ისევ ცეკოსი: „ჩვენ 12 აგვისტოს ამბავზე უამრავი რამ გვკითხეს და ყველაფერს ვუპასუხეთ. ეჭვის საფუძველი არავისთვის მიგვიცია. დოპინგ-შემოწმებისთვის ჩემს სპორტსმენებს თავი არ აურიდებიათ და ამიტომაც ვარ ოპტიმისტურად განწყობილი."

შეგახსენებთ, რომ მოტოავარიის საქმეს სპორტულ ორგანიზაციათა გარდა საბერძნეთის პოლიციაც იძიებს.

ტუტა სიხარულიძე

ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 14-30 იანვარი

XI ტური

ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 1:0
იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) — ივან სოკოლოვი (ჰოლანდია) 1:0
ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) — ლუკ ვანველი (ჰოლანდია) 0,5:0,5
ლაზარი ბრუზონი (კუბა) — პეტერ სვიდლერი (რუსეთი) 0,5:0,5
ნიჯელ შორტი (ინგლისი) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) 0,5:0,5
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5
ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) — რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) 0:1

გონიერმა უნგრელმა ბულგარელი მეფე გააშიშვლა და კუთხეში დააყენა

ვიშვანათან ანანდი და მაიკლ ადამსი

ბოლოსწინა ტურმა ცხრილში ბევრი ვერაფერი შეცვალა. ლიდერი კვლავ უნგრელი პეტერ ლეკოა და მას ისევ ინდოელი ვიშვანათან ანანდი მისდევს კუდში, თუმცა, წინა ტურებისგან განსხვავებით, ინდუსი მეორე ადგილზე ახლა მარტოა და საეჭვოა, იქ ვინმე გაიკაროს.

გაცოფებულია ვესელინ ტოპალოვი. ბულგარელი სტომატოლოგი ერთ დროს ხუთი ტური ლიდერობდა სუპერტურნირს, თუმც გონებამ მეტი ვეღარ გაუჭრა და ახლა ქვემოდან უმზერს სანატრელ ადგილს.

ტოპალოვმა პარტია ლაზიერის გამბიტით დაიწყო და ცენტრის დაპყრობას შეუდგა. ლეკომ თავიდანვე არ იჩქარა იერიშებში ჩართვა, ჯერ საკუთარი ფლანგის წინა ხაზი გაამაგრა და შემდეგ ეტაკა მეტოქეს. ბრძოლაში უნგრელმა აჯობა ბულგარელს, ხელმწიფის ფლანგიდან ორივე მხრით მიაწვა და ერთ-ერთი, პაიკის ფასად უფეშქაშა კიდეც; თუმც ამ შეწირვით თვითონ უფრო იხეირა, ვიდრე ბულგარელმა. ტოპალოვის ხელმწიფეს სულ მოეშალა დაცვა და ფაქტობრივად შიშველი დარჩა. ფიგურით ჩამორჩენის მიუხედავად, თამაშის სადავეები ლეკომ იგდო ხელთ, ბულგარელს ყურადღება ხელმწიფის დაცვაზე გადაატანინა, თვითონ კი მტრის უპატრონოდ დარჩენილ ფიგურებს დაერია და უკეთესი პოზიციაც მოიპოვა. ლეკომ კუთხეში გამოკეტა თეთრთა ბელადი და წარმატების მისაღწევად ბევრიც არ უკლდა, მაგრამ, ყველასდა გასაკვირად, სხვა გადაწყვეტილება მიიღო და 42-ე სვლაზე მეტოქეს ყაიმზე დასთანხმდა. სპეციალისტებმა მადიარის ასეთი გადაწყვეტილება გადაღლას მიაწერეს.

ამდენივე სვლა გააკეთეს ვეიკ ან ზეეს შარშანდელმა მიმგებმა ინდუსმა ვიშვანათან ანანდმა და ადამიან-ობობად ცნობილმა ინგლისელმა მაიკლ ადამსმა. ყოჩაღად დაიწყო პარტია აზიელმა, მე-10 სვლაზე ერთი მხედრით შეუევარდა მტერს, გაცვლა განახორციელა და შემდეგ როქი გააკეთა. თამაში გახურდა, მე-17 სვლაზე ადამსის კუმ ინდოელის ხელმწიფის გვერდით მყოფი ეტლი მოკლა და წინ გავიდა. ხარისხით ჩამორჩენის მიუხედავად, ანანდი არ შემდრკალა, პირიქით, უფრო გააქტიურდა და გაცვლებს თამამად შეუდგა. გაცვლაგამოცვლაში ინდუსმა იხეირა, ხარისხი გაათანაბრა და ლაზიერის მხრიდან პაიკებითა და დედოფლით მიაწვა შავებს. ადამიან-ობობა შემორჩენილი ეტლითა და კუთი რამდენიმე სვლა შეეწინააღმდეგა ინდოელ ვეფხვს, თუმც სხვა მეტოქეებივით ქსელში ვერ გააბა და დანებდა.

ბოლო ტურებში თანდათან მოუმატა სუპერტურნირის ერთადერთმა ქალმა, უნგრელმა იუდიტ პოლგარმა. ამჯერად იუდიტმა მასპინძელთა სახელით მოასპარეზე ივან სოკოლოვს 40 სვლაში სძლია და საუკეთესო ხუთეულში შეაბიჯა.

ლაშა გეგეჭკორი



31-ე სვლაზე უნგრელმა ბულგარელი მეფე გააშიშვლა

1	პეტერ ლეკო (უნგრეთი)	8 ქულა
2	ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)	7,5
3	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	7,0
4	ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი)	6,5
5	იუდიტ პოლგარი (უნგრეთი)	6,5
6	ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	6,5
7	მაიკლ ადამსი (ინგლისი)	6,5

ავსტრალიის ღია პირველობა 2005

მელბურნი. მაგარსაფარი

დიდი შავი მუზარადი

სერენამ ძველებურად დაჭკივლა

REUTERS მელბურნიდან

ფინალი

ქალები

სერენა უილიამსი (7, აშშ) — ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) 2:6, 6:3, 6:0

სერენა უილიამსს ამხელა სლემპაუზა საერთოდაც არ უნდა ჰქონოდა — და ეგებ თქვენც მოიგონოთ, დიდი მუზარადის რაგინდარა ტიტული მას 2003 წლის შემდეგ აღარ რგებია.

მაგრამ ისიც და მისი უფროსი დაიკო ვინუსიც კლასპოტიდან იმავე ზაფხულში გადატანილმა ოპერაციებმა ამოაგდეს. მერე იყო და მავანმა ნაძირალამ მათი უფროსი ნახევარდა, მათი პალალი ქომაგი იეტუნდე მოკლა, სადღაც ამ მოვლენათა გვერდით გაიყარენ მათი მამა რიჩარდი და დედა ორასინი და — ბუნებრივია — როცა 2004 წელს დები დიდ კორტზე მობრუნდნენ, არც ფიზიკურად და არც მენტალურად დიდი გამარჯვებებისთვის მზად არ იყვნენ.

მათ არყოფნაში ჯერ ბელგიელებმა — ჟუსტინ ენენ-არდენმა და კიმ კლაისტერსმა გაიჯეჯილეს, მოგვიანებით კი უკვე წამოჩიტულ რუსქალთა დროც მოვიდა. სერენა ახლოს იდგა უიმბლდონური ტიტულის დაცვასთან, მაგრამ ჩოგნის დახრა 16 წლის მარია შარაპოვასთან მოუხდა.

მაინცდამაინც შთამბეჭდავად ის და ვინუსი არც მერე გარჯილან და ისეთი ჩოგბურთი, რასაც სერენა თავის საზეო ჟამს უჩვენებდა, არც ამ გასული ორკვირეულისას გვინახავს, მაგრამ, ვინძლო, მისი მოძულენიც კი დაგვეთანხმონ, რომ სერენას საავსტრალიო გამარჯვებას თავისი შეუვალი ლოგიკა დასტურ ჰქონდა.

ხოლო ის, რომ წლის პირველი სლემტიტულის მომგები ის ნაღდად იყო, ყველაზე მკაფიოდ პირველად მეოთხედფინალში გამოჩნდა, როცა მან დამაჯერებლად აჯობა გარდერობივით რუსგოგო ნადია პეტროვას. ნახევარფინალში მას უკვე შეუდარებლად უფრო რთული ბრძოლა გადახდა და სამჯერ მატჩბურთის წინაშეც იდგა, მაგრამ 17 წლის შარაპოვას სერენას კიდევ ერთხელ დამორჩილება აღარ გამოუვიდა. პარალელურად ამქრის პირველოსანი ლინდსი დევენპორტი სულ უფრო და უფრო მძიმე შეხლებით იკვალავდა გზას ფინალისკენ და, როცა ადგილობრივთა ჯილა ალიშა მოლიკს მოერია, ისიც კი წამოცდა — ასეთი მარათონისთვის უკვე საკმაოდ ბებერი ვარო.

ფინალის ბედიც ძირითადად სწორედ ამ ორმა გარემოებამ — სერენას მიერ ძველებურისებრი გარჯით უკუპყრობილმა თავდაჯერებულობამ და 28 წლის ლინდსის დაღლილობამ გადაწყვიტა.

თუმცა საკუთრივ 89-წუთიანი ფინალური მატჩი ტურნირის 2000 წლის ჩემპიონ დევენპორტის უპირატესობით დაიწყო და სერენას ძველებურისებრი გარჯაც სწორედ მომდევნო სეტებში ვიხილეთ. პირველოსნის ძალებიც ამ დროს ამოიწურა...

ეს 23 წლის სერენას 26-ე საკარიერო ტიტულია და იმავდროულად მე-7, რომელიც მას დიდი მუზარადის ტურნირებზე მოურეწავს. შეგახსენებთ, რომ ის უიმბლდონის ორგზის (2002, 2003), აშშ-ის ორგზის (1999, 2002), როლანგაროსის ერთგზის (2002) და ავსტრალიის აწ უკვე ორგზის (2003, 2005) ჩემპიონია.

ლევან ძელაურაძე

REUTERS მელბურნიდან

ინტერვიუ ნაფინალევს



REUTERS მელბურნიდან

— როგორ მიაღწიეთ დღევანდელ გამარჯვებას?

— არ ვიცი. უბრალოდ, მოვიგე. „ნაიკის" ლოზუნგი რომ არის — „JUST DO IT" (უბრალოდ გააკეთე), ისე.

— თქვენ ტაიმაუტი აიღეთ, ტრავმის ბრალი იყო?

— პირველ გეიმში ლინდსიმ კიდიდან კიდემდე მარბენინა, ხოლო ერთ ეპიზოდში, როდესაც ხელი უკან გავწიე და გადავიწელე, ზურგში ტკივილი ვიგრძენი, თითქოს ნეკნი ამომივარდა. შემდეგი რამდენიმე გეიმის განმავლობაში ტრავმა ჩემზე ძალიან მოქმედებდა, თუმცა ვცდილობდი მას რამენაირად შევგუებოდი. ბოლოს მაინც ტაიმაუტის აღება ვამჯობინე, ვიფიქრე იქნებ მწვრთნელმა ის ნეკნი თავის ადგილზე დააბრუნოს მეთქი. დააბრუნა კიდეთ. შემდეგ ყველაფერი კარგად აეწყო.

— იყო თუნდაც ერთი წამი, როდესაც იფიქრეთ, რომ ვერ მოიგებდი?

— არა, დანებებაზე ამაზე უარეს მომენტებშიც არ მიფიქრია.

— ხომ არ გგონიათ, რომ რაღაც მომენტში დევენპორტმა ოდნავ მოადუნა ყურადღება და თქვენ სწორედ ამით ისარგებლეთ?

— მის მოდუნებასა თუ გააქტიურებაზე არ მიფიქრია, ჩემს საქმეს ვაკეთებდი. ვფიქრობ ისიც თავისას თამაშობდა. იცით, ეს ფინალი იყო, ხოლო ფინალში ორივე მხარე ბოლომდე იხარჯება, მე უბრალოდ ჩემს თავს ვუთხარი — „მიდი და მასზე ცოტა მეტი შესძელი".

— მეორე სეტის მეხუთე გეიმში თქვენ ბურთისთვის ჩოგნის გასაოცრად ლონივრდა მირტყმა დაიწყეთ, რამ განაპირობა ბოლო 20 წუთში ძალების ასეთი მოზღვავება?

— იმ მომენტში იმ კონკრეტული გეიმის წაგება არ მინდოდა, სხვა კი ყველაფერი სულერთი იყო. ჩოგნის ქნევისას ხელი სულ რომ მომძვრომოდა, არ ვიდარდებდი. ვიგრძენი, რომ იმ გეიმის მოგება ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მოვრჩა.

— რაკიღა პირველ ჩოგანს ასე ამარცხებთ, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ სწორედ თქვენ ხართ პირველი?

— საბოლოოდ აუცილებლად მივალ იქ, სადაც მინდა, რომ მივიდე. მაგრამ ჯერ საკმარისი რაოდენობის ტურნირებზე არ მითამაშია. ისე, ვგრძნობ, რომ კარგ ფორმაში ვარ და ეს უეჭველად მოიტანს შედეგს.

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლოხანს თქვენ და ვინუსს ხშირად გაკრიტიკებდნენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ დღევანდელ გამარჯვებას ძალიან ტკბილი გემო აქვს.

— რა თქმა უნდა. ხალხი სულ გვეკითხებოდა რა გჭირთო, ამიტომაა ეს გამარჯვება განსაკუთრებული. ჩვენი ყველაფრის მიუხედავად მუშაობას განვაგრძობდით. არ ვიცი, სხვა რას ამბობდა, მაგრამ ერთი წამით არ მიფიქრია, რომ პირველი ჩოგნობისთვის ბრძოლიდან გამოთიშული ვიყავი.

— ამწუთას რას გრძნობთ?

— ბედნიერი ვარ, ისე კი ამწუთას სულ არ მჭირდება რაიმე განცდა.

— როგორ უნდა აღნიშნოთ გამარჯვება?

— დღესასწაულობა არ მჩვევია. მახსოვს, ამერიკის ღია პირველობაზე პირველად რომ გავიმარჯვე, კინოში წავედი... სმაც არ მიყვარს, ასე რომ შეიძლება ითქვას, ზეიმი არ მეხერხება. რატომ, არ ვიცი!

ავსტრალიის ღია პირველობა 2005

მელბურნი. მაგარსაფარი

ფინალი

კაცები

მარატ საფინი (4, რუსეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) 1:6, 6:3, 6:4, 6:4

ყველას თავის სუფრაზე გაუმარჯოს

რატომ არ მიაფარდა საფინმა თავის თავს



REUTERS მელბურნიდან

მეასე ავსტრალიობა იყო და ოზებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ერთ-ერთი საერთეულო ტიტული მაინც დაურჩებოდათ შინ. მათმა ჯილებმა — მესამე ნომრად განთესილმა ლეიტონ ჰიუიტმა და ქალთა შორის რანგით მეათე ჩოგნის მქნეველმა ალიშა მოლიკმაც ძალღონე არ დაიშურეს, ქომაგთათვის საიუბილეო არმაღნები რომ ეძლვნათ, მაგრამ, ვაგლახ, არც ერთს გამოუვიდა ეს საქმე და არც მეორეს.

თუმცა პირველი, ტურნირზე 1997 წლიდან რომ გამოდის და აქამდე მეოთხე წრესაც ვერ გასცილებოდა, საჩემპიონო გასროლისგან არც ისე შორს იდგა. და გუშინდელ მესამე სეტში, როცა 4:1 მიჰყავდა და თავისზე 13 სანტიმეტრით მაღალი მეტოქე თითქმის ჩოქბჯენში ჰყავდა გადაყვანილი, სრულიად მოულოდნელად მოწოდება რომ არ გამრუდებოდა, ეგებ ახლა მისი მესამე სლემტიტულის აღსანიშნავად გვესვა და არა მარატ საფინის მეორტიტულობისა არ გვესვა.

ისე კი, ყველას თავ-თავის სუფრაზე გაუმარჯოს და ზორბა რუსთათარს, ვინაც ავსტრალიობის ფინალში აქამდე ორჯერ — 2002 და 2004 წლებში გასულიყო და იქ დამარცხებას არც ერთხელ — არც შარშან როჯერ ფედერერისგან და არც მით უფრო სამი წლის წინ ტომას იოჰანსონისგან — არ იმსახურებდა, თბილი და სახოტბო სიტყვებიც ახლა ისევე ეკუთვნის, როგორც გუშინ ეკუთვნოდა ფინალის მოგება.

ეს უწინარესად იმის გამო, რომ წლეულს ის საჩოგნეთს უჩვეულოდ დამშვიდებული და რაციონალური წარუდგა და, თუმცა აქა-იქ მაინც დალეწავდა ხოლმე ერთი-ორ ჩოგანს, ფინთი გოიმივით ჯამში მაინც ერთხელაც არ აჭრილა. ნიჭი და ილაჯი კი მას არასოდეს აკლდა და როჯერ ფედერერის ყოფილმა შვედმა მწვრთნელმა პიტერ ლუნდგრენმა სწორედ ამ ორი რამის ჭკუით და აუღელვებლად გამოყენებას დააჩვია.

სწორედ ამის წყალობით იყო, ზღაპრულ ნახევარფინალში იმავ ფედერერის წინააღმდეგ ყველა ბეწვის ხიდზე რომ გაიარა და ზედიზედ 26 მატჩში დაუმარცხებელი ობობა-კაცი მუხლებზე დააჩოქა. ალბათ ამის გამოვე მოხდა, გუშინდელ უდრამატულეს მესამე სეტში კისკასმა და გაუტეხელმა ლეიტონ ჰიუიტმა მისი საბოლოოდ მოშთობა რომ ველარ შეძლო.

არადა, ჰიუიტმა მეორე წრიდან მოყოლებული უმძიმესი ბრძოლები გადაიტანა, ყველა ხაფანგს დაუძვრა, ნახევარფინალში ამერის ყველაზე მძლავრად მომწოდებელი ენდი როდიკიც გააბითურა, ჯამში მხოლოდ სწორედ ენდიზე, თომას იოჰანსონსა და იმავ საფინზე ნაკლები ეისი დააგროვა და საერთოდაც ისე მკვირცხლად და ჩავარიასებრ გაირჯა, საერთოეროვნული აღტყინებაც გამოიწვია და დიდ კორტებზე მეოცნებე მრავალ ათას ყმაწვილსაც კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, ჩოგბურთში მხოლოდ ვირგლები რომ არ ვარგიან...

სხვაფრივ — ეს საფინის მე-15 ტიტულია და იმასაც შეგახსენებთ, რომ დიდი მუზარადის ტურნირებიდან მას აქამდე 2000 წლის აშშ-ის ღია პირველობაც მოუგია.

ლევან ძელაურაძე

ინტერვიუ ნაფინალევს

— როდის იგრძენით, რომ ყველაფერი თქვენს სასარგებლოდ ტრიალდებოდა? მესამე სეტში 1:4-ს აგებდით...

— კაცმა რომ თქვას, პირველი სეტის შემდეგ უკეთ და უკეთ მიმდიოდა თამაში. ისე, მაშინაც კი, როდესაც 1:4-ს ვაგებდი, მდგომარეობა გამოუვალი არ იყო. მართალია ვნერვიულობდი და შეშინებულიც გახლდით, მაგრამ გულის სიღრმეში იმედი მქონდა, რომ მატჩს გადავარჩენდი.

— მესამე სეტში, ერთ ეპიზოდში თქვენ შესძახეთ: „რა ვქნა?!“ რას გულისხმობდით?

— საკუთარი თავისთვის მიფსმა მინდოდა. ვინაიდან ფინალში ვიყავი და ვგრძნობდი, რომ ტიტულთან ძალიან ახლოს ვიდექი, იმავდროულად კი ვხდებოდი, რომ მიზნისგან ძალიან შორს გახლდით. იმწუთას ჩემპიონობა თითქოს მშორდებოდა და მშორდებოდა.

თან, ხომ ვიცოდი, რომ რასაც ვაკეთებდი, იმაზე გაცილებიც უკეთ მეხერხება თამაში. საბედნიეროდ, მესამე სეტში მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა, მან (ჰიუიტმა) შეცდომების დაშვება დაიწყო. ამას არც ველოდი. გარკვეული გაგებით ეს ჩემი იღბალი იყო, ნელ-ნელა საკუთარი თავის რწმენა დამიბრუნდა. და ვინაიდან ბრძოლას აზრი დაუბრუნდა, აქა-იქ გარისკვის საშუალებაც გამოჩნდა, თორემ მანამდე მართლა ვპასიურობდი.

— თქვენ 2000 წელს, ამერიკის ღია პირველობა რომ მოიგეთ, იმის მერე აღარაფერი მოგეგოთ. თავად როდის ელოდით ახალ ჯილდოს?

— დიახ, დიდი ხანი აღარაფერი მომეგო და ამის მიზეზი უფრო ფსიქოლოგიური იყო. მაშინდელი გამარჯვება მაშინვე უნდა ამომეგდო გონებიდან. შემდეგ კი საქმე ცუდად ამეწყო, აქ ავსტრალიაში ორი ფინალი წავაგე, რომელთაგან პირველი ულაპარაკოდ უნდა მომეგო. ერთი სიტყვით, კაცს საკუთარი თავის ეჭვი რომ ჩაგეწვეთება, მერე ძნელია, იწყებ ტანჯვას: შემიძლია ამის გაკეთება თუ არა?

— რა დაგარიგათ მწვრთნელმა?

— მომიწოდა საკუთარი ძალებისა მერწმუნა... მართლა მერწმუნა.

— კი მაგრამ, თუ ამ ხნის განმავლობაში საკუთარი ძალებისა გეეჭვებოდათ, გვარიანად დიდ შედეგებს როგორღა აღწევდით?

— როდესაც დასანან შეხვედრებს აგებ ხალხი შენზე სხვანაირად ლაპარაკს იწყებს. ყალიბდება საჯარო აზრი, რომელსაც ნებით თუ უნებლიედ უსმენ და იწყებ მსჯელობას: მე ნიჭიერი, კარგი ჩოგბურთელი ვარ, მაგრამ ეტყობა იმდენად კარგიც არა, მიზნებს რომ მივაღწიო. მე უბრალოდ ყველასთან მოგება და ყველასთან წაგება შემიძლია...

— ეჭვები ახსენეთ... დღევანდელი გამარჯვება უფრო მნიშვნელოვანია თუ 2000 წლის?

— შეკითხვა ვერ გავიგე...

— დღევანდელი გამარჯვება უფრო სასარგებლოა...?

— დიახ, დიახ...

— ...ვიდრე 2000 წლისა? რატომ, საკუთარი თავის რწმენა აღგიდგინათ?

— არა, უბრალოდ 2000 წელს ისე გავიმარჯვე, რომ არ ველოდი. მაშინ სამპრასს მოვუგე. მატჩის წინ არანაირ ზეწოლას არ განვიცდიდი, რადგან არავინ არაფრად მთვლიდა, ახლა კი უკვე 25 წლის ვარ, სამპრასს კი არა, ჰიუიტს ვეთამაშებოდი... იმის თქმა მინდა, რომ თეორიული შანსი მეტი მქონდა.

— უახლოეს საათებში რას აპირებთ?

— აქ იმდენი ტელე და ფოტოკამერაა, თავბრუ მეხვევა. მართალი გითხრათ, არც ვიცი რომელი საათია... მინდა შინ მივიდე და უახლოეს ადამიანებთან ჩამოვჯდე, ცოტა დავლიო და დავისვენო.

— და ღამის კლუბი?

— ამისთვის, მგონი, დავბერდი.

REUTERS მელბურნიდან



REUTERS მელბურნიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS მელბურნიდან

სერენამ დაიგრუხუნა, იმედი კი იმედად დარჩა

ავსტრალიელთა სამწუხაროდ, ლეიტონ ჰიუიტი კვლავ რჩება მათ მთავარ იმედად. სამწუხაროდო, ვამბობთ, რადგან მათ კვლავ ცხრა ზღვის იქიდან მოსულის გამარჯვების ყურება მოუხდათ მელბურნში, ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში. ჰიუიტს სამშობლოში არასდროს უმართლებდა, ყოველთვის სადღაც შუა გზაში აჩერებდნენ. ახლა ფინალამდე სულ რჩეულ მეჩოგნეებში გაიკაფა გზა და იქაც იყოჩალა, მაგრამ– მარატ საფინი წლეულს მელბურნში ალალად საუკეთესო იყო.

ქალებში ერთწლიანი სლემპაუზის შემდეგ დაიგრუხუნა ჩოგბურთის შავმა დედოფალმა სერენა უილიამსმა, რომელმაც ფინალში მოქმედი, თუმც მობერებული პირველი ჩოგანი ლინდსი დევენპორტი შემუსრა და ასე შეუდგა თავისი ტახტის რესტავრაციას.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოძრომჭელიძე
მთავარი რედაქტორი ილია გაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ზიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან ელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge